# ახალი განათლება

28.03-03.04.2019

№11 (845) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge





გვერდი 4

## „მივალ გურიაში მარა...“

*მე იქ მეჩქარება, სადაც ბევრი სიყვარულია... ჩემს სკოლაში, ჩემს კოლეგებთან და მოსწავლეებთან. ხვალ ყველას გულში ჩავიკრავ. ოჰ, რა ბედნიერება იქნება მათთან შეხვედრა!*

*სანამ გული დაილია, ჩქარა უნდა ჩავიდეს ჩემი ტრანსპორტი და მოვეხვიო იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემთვის საკუთარ თავზე ძვირფასები არიან. იქ მეჩქარება, სადაც დიდი სიყვარულია...*

*იჩქარეე, იჩქარეეეე ბედნიერებისთვის!*

ლადო აფხაზავა

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები უმაღლესი სასწავლებლებისთვის

*სულ ხუთი მსხვილი ინსტრუმენტი შემუშავდა. თითოეულ ინსტრუმენტზე მუშაობს არა რომელიმე კონკრეტული უნივერსიტეტი, არამედ შერეული ჯგუფები. შემაჯამებელი კონფერენცია, 2020 წელს, პროექტის დასრულების შემდეგ იგეგმება. ჩვენი მისიაა, მზა პროდუქტი წარვუდგინოთ პედაგოგიურ საზოგადოებას. გვინდა არა მხოლოდ გავაცნოთ ეს ინსტრუმენტები, არამედ პრაქტიკაში დანერგვას შევუწყოთ ხელი, რაც ურიგო ნამდვილად არ იქნება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ჩვენს სისტემაში განმავითარებელი შეფასება და, ზოგადად, შეფასება „აქილევსის ქუსლია“. ასე რომ, ეს ინსტრუმენტები ძალიან წაადგება საქმეს.*

მარიკა სიხარულიძე

გვერდი 2

## დასაქმება – არსებული გამოწვევები და მიდგომები

*ახალგაზრდების დასაქმება ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა, რომელსაც განსაკუთრებული მიდგომები და სწორი სტრატეგიები სჭირდება. კონფერენციის მიზანია, დაიწყოს ქსელური პარტნიორობის განვითარება, რომელიც იმ ორგანიზაციების თუ ფსიქოლოგების გაერთიანებას უზრუნველყოფს, რომლებიც ახალგაზრდების დასაქმებაზე მუშაობენ.*

ირაკლი ჟორჟოლიანი

გვერდი 3

*ინფორმაცია*

## როდის გამოცხადდება რეგისტრაცია მასწავლებელთა გამოცდებზე

## განათლების მინისტრს პარლამენტში მოუსმინეს

გვერდი 5

*სამოდელო გაკვეთილი*

## BƏDII MƏTNIN QAVRANILMASI

დმანისის მუნიციპალიტეტის სსიპ ზემო ოროზმანის საჯარო სკოლის ქართული როგორც მეორე ენის პედაგოგის, ქამრან ხიდიროვის მიერ IV კლასში ჩატარებული გაკვეთილი

გვერდი 6

*ნკჳს – 140*

## სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების კეთილშობილური მისია

გვერდი 8

სემინარი

# განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

ლალი ჯელაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიმართა სემინარი, რომელზეც სკოლის პედაგოგებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ცენტრის ტრენერებს „Erasmus +“ საგრანტო პროექტის ფარგლებში შემუშავებული საუნივერსიტეტო და ზოგადსაგანმანათლებლო დონის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები გააცნეს. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწოდებს მათ ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ასევე, ეხმარება ადეკვატური თვითშეფასების, შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში.

პროექტის კონსორციუმის მონაწილეებმა შეფასების ინსტრუმენტები თავად წარადგინეს. პროექტში ჩართულია თსუ, ილიას სახელმწიფო, ახალციხისა და სოხუმის უნივერსიტეტები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი მასწავლებლის სახლში **მარიკა სიხარულიძე** განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე საუბრისას ამბობს, მთავარი მიზანი არა მხოლოდ გაცნობა, არამედ ამ ინსტრუმენტების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობაა: *„პროექტი გულისხმობს განმავითარებელი შეფასების შემუშავებას საუნივერსიტეტო დონეზე, მომავალი პედაგოგებისთვის, თუმცა, ეს უნივერსალური ინსტრუმენტები პროფესიაში მყოფი ადამიანებისთვისაც გამოსადეგი იქნება. მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ცენტრი პირველად მონაწილეობს „Erasmus +“-ის პროექტში, რომელიც 2016 წელს დაიწყო. საქართველოს მხრიდან, ჩვენ გარდა, კიდევ 4 უნივერსიტეტია ჩართული. პროექტის კოორდინატორი და პარტნიორია ისრაელის კინერეკის აკადემიური კოლეჯი, ევროკავშირის მხრიდან კი კონსულტაციას უწევს კორკის (ირლანდია), ბამბერგის (გერმანია), ტალინისა და ლინცის პედაგოგიკის უნივერსიტეტები (ავსტრია). ინტენსიურად ვმუშაობთ და, ფაქტობრივად, მივედით იქამდე, რომ ინსტრუმენტები უკვე შემუშავებულია. თითოეულ ინსტრუმენტზე მუშაობს არა რომელიმე კონკრეტული უნივერსიტეტი, არამედ შერეული ჯგუფები. სულ ხუთი მსხვილი ინსტრუმენტი შემუშავდა, აქედან, სამწუხაროდ, სემინარზე, მხოლოდ ოთხის წარმოდგენა მოვასწარით მსმენელებისთვის. სემინარის ბენეფიციარები, ძირითადად, ჩვენი ცენტრის ტრენერები იყვნენ. მოგეხსენებათ, რომ ისინი, ამავდროულად, ხშირ შემთხვევაში, პედაგოგები ან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიან. შემაჯამებელი კონფერენცია, 2020 წელს, პროექტის დასრულების შემდეგ იგეგმება. ჩვენი მისიაა, მზა პროდუქტი წარვუდგინოთ პედაგოგიკურ საზოგადოებას. გვინდა არა მხოლოდ გავაცნოთ ეს ინსტრუმენტები, არამედ პრაქტიკაში დანერგვას შევუწყოთ ხელი, რაც ურიგო ნამდვილად არ იქნება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ჩვენს სისტემაში განმავითარებელი შეფასება და ზოგადად, შეფასება „აქილევსის ქუსლია“. ასე რომ, ეს ინსტრუმენტები ძალიან წაადგება საქმეს“.*

**რა არის ხუთი მსხვილი ინსტრუმენტი**, რომელიც უშუალოდ განმავითარებელ შეფასებაზეა ორიენტირებული.

პირველ რიგში, მარიკა სიხარულიძე ე.წ. **„კრიტიკული მეგობრის მიდგომას“** (კომპლექსურ მიდგომას) ასახელებს, *„რომელიც თანამშრომლობით შეფასებასა და კონსტრუქტივისტულ პრაქტიკაზეა დაფუძნებული. ეს მიდგომა ფართოდ გამოიყენება ძალიან ბევრ დასავლურ წარმატებული განათლების მქონე ქვეყანაში. ინსტრუმენტი მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთშეფასებაზეა დაფუძნებული და, კონსულტაციების გაწევით, კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრაში ეხმარება.“*

„კრიტიკული მეგობრის მიდგომის“ შესახებ საუბრობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **სოფიკო ლობჟანიძე:** *„კრიტიკული მეგობარი კომპლექსური, ინტეგრირებული მიდგომაა, რომელიც მიმართულია, ურთიერთსწავლებისა და თანამშრომლობის გზით, პროფესიულ ზრდაზე. ამ მიდგომით მუშაობისას კი, პროფესიული ურთიერთობები ურთიერთპატივისცემასა და გამოწვევებისადმი მზაობას უნდა ემყარებოდეს.*

*„კრიტიკული მეგობრის მიდგომა“ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდანაა ცნობილი და უკვე ბევრი წარმატებული დასავლური ქვეყნის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემებში დაინერგა. კრიტიკული მეგობარი სანდო კოლეგაა, რომელსაც კრიტიკული და კონსტრუქციული რეკომენდაციების გაცემა შეუძლია, კარგი დამკვირვებელი და მსმენელია, სვამს აღმოჩენით შეკითხვებს, უზრუნველყოფს ბალანსს მხარდაჭერასა და გამოწვევას შორის, მოვლენებს სხვადასხვა პერსპექტივიდან აფასებს და ყოველთვის ხელმისაწვდომია.*

*კრიტიკული მეგობარი, ურთიერთსწავლების გზით, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ეფექტური გზაა, რომელიც ასევე ხელს უწყობს თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო სისტემის ჩამოყალიბებას, მაგრამ ეს მიდგომა არ არის აპრობირებული არც უმაღლეს და არც სასკოლო განათლებაში, როგორც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი.“*

შემდეგი ინსტრუმენტია **ღია ციფრული სამკერდე ნიშნები – ონლაინბეიჯები**, რომელიც არა მარტო განათლებაში, არამედ, ზოგადად, ძალიან პოპულარულია შეფასების სისტემაში. *„მოგეხსენებათ, ძალიან ბევრი ციფრული სასწავლო ინსტრუმენტია და სერტიფიცირებას ახლა სწორედ ამ სამკერდე ნიშნების მეშვეობით ახდენენ. ფაქტობრივად, ადამიანები უკვე სერტიფიკატებს კი არ აგროვებენ მსოფლიოში, არამედ ბეიჯებს. აპლიკაციის შევსებისას იმ სამკერდე ნიშნებს უთითებენ, რაც მოპოვებული აქვთ. ასევე ხდება განათლების შეფასების ნაწილშიც, ანუ კონკრეტული საუნივერსიტეტო სალექციო კურსი შეიძლება ბეიჯის მეშვეობით შეფასდეს, სხვადასხვა ხარისხი მიენიჭოს. ეს მოდელი, ძირითადად, განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში მუშაობს. განმავითარებელი შეფასებისას კი, რადგან ბეიჯი მუდმივი არ არის, ის იცვლება. მაგალითად, რა ეტაპზეც იმყოფება სტუდენტი, იმის მიხედვით მიენიჭება გარკვეული ტიპის სამკერდე ნიშანი, გარკვეული ვადით. ამ ინსტრუმენტის განხილვისას, ჩვენ გავაცანით მსმენელს, როგორ უნდა შევქმნათ ბეიჯები ციფრულად, როგორ მივანიჭოთ სტუდენტს, როგორ მოხდეს შემდეგ მათი კონსტრუირება და ა.შ.“* – ამბობს მარიკა სიხარულიძე.

მესამე ინსტრუმენტი, **ურთიერთშეფასება და რეფლექსიური დღიური**, უშუალოდ რეფლექსიაზეა ორიენტირებული. ეს საკმაოდ ცნობილი მიმართულებაა ჩვენი განათლების სისტემისთვის, განსაკუთრებით კი სქემაში ჩართული პედაგოგებისთვის. რეფლექსიის წერას და თავიანთი საქმიანობის შეფასებას ისინი მიჩვეულები არიან, თუმცა, ამ ინსტრუმენტს მეორე მხარე აქვს – ურთიერთშეფასება/თანაშეფასება კოლეგებთან ერთად. შეფასების ეს ინსტრუმენტი სტუდენტების მაგალითზე იყო განხილული.

მეოთხე და ძალიან მსხვილი ინსტრუმენტი **სოციოემოციური უნარების შეფასებაა**, რომელიც ახლა ძალიან პოპულარულია და განსაზღვრავს მიღწევებისა და სოციოემოციური უნარების ბმას.

სოციოემოციური უნარების განმავითარებელ შეფასებაზე ქართულ-ებრაულმა ჯგუფმა იმუშავა. რას ნიშნავს ეს ინსტრუმენტი, ამის შესახებ, ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი, თსუ-ს მოწვეული ლექტორი **ნინო ჩიქოვანი** საუბრობს: *„განმავითარებელი შეფასების ფარგლებში ისეთ ინსტრუმენტებზე ვმუშაობთ, რომლებიც დაგვეხმარება, განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად, განმავითარებელი შეფასების ფარგლებში, გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ სოციოემოციური უნარები. სოციოემოციური უნარები სხვადასხვაგვარად ითარგმნა – სოციოემოციური ინტელექტი, რბილი უნარები და ა.შ. ჯერ არ ჩამოვყალიბებულვართ საბოლოო ტერმინზე. თითოეული სწავლების კურსის ფარგლებში, ჩვენ ზოგადად განვავითარებთ მყარ უნარებს – მაგალითად, როცა ვასწავლი ენას და შემდეგ განმსაზღვრელი შეფასებით ვაფასებ, ამ დროს ვამოწმებ, ენის ცოდნიდან გამომდინარე, რამდენად ესმის სტუდენტს ტექსტი, როგორ გაიგო მოსასმენი დავალება, მოახდინა თუ არა ნასწავლი ლექსიკის გამოყენება მეტყველებაში და ა.შ. ეს არის მყარი უნარები. რაც შეეხება სოციოემოციურ უნარებს, ეს არის უნარები, რომელიც კურსის მიღმა უნდა გამომუშავდეს. ათი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი გამოვყავით – თვითრეგულაცია, საკუთარი თავის შემეცნება, ემოციების კონტროლი, სხვისი ემოციების გაგება, სტრესტოლერანტობა (სტრესის კონტროლი), ემპათია, ურთიერთთანამშრომლობა და დახმარება, მომავლის პოზიტიური ხედვა, სიმტკიცე და დამაჯერებლობა, საკუთარი თავის ზრდის რწმენა და ა.შ. ასეთია სოციოემოციური უნარები.*

*როგორ უნდა გავმიჯნოთ მყარი და რბილი უნარები – წარმოიდგინეთ აისბერგი, ჩვენ მხოლოდ მის წვერს ვხედავთ. აისბერგის უდიდესი ნაწილი შეიძლება წყლის ქვეშ ჩანდეს, ანუ ის პატარა ნაწილი, რასაც ვაფასებთ, ზედაპირზეა. ჩვენ ვმუშაობთ სწორედ იმაზე, რასაც მის ქვეშ უნდა ვაფასებდეთ. ვაფასებთ მყარ უნარებს, მაგრამ იმის მიღმა, რამდენად შეძლო ბავშვმა მთელი რიგი უნარების განვითარება – გინდა გამჭოლი კომპეტენციები უწოდეთ, გინდა რბილი თუ სოციოემოციური – ეს არის აისბერგს ქვემოთ, წყლის ქვეშ მოყოლილი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაწილი.*

*ჩვენი მთავარი კონცეფცია გამომდინარეობს იქიდან, რომ აქცენტს ვაკეთებთ 21-ე საუკუნის სპეციალისტზე, ისეთ სამომავლო მუშახელზე, რომელიც კონკურენტუნარიანია. დღეს არავის (მათ შორის დამსაქმებელს) აღარ აინტერესებს მხოლოდ ენის, მათემატიკის ან კომპიუტერის მცოდნე ადამიანი, ამასთან ერთად, აინტერესებთ სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი სოციოემოციური უნარებით შეიარაღებული ახალგაზრდები. ეს ინსტრუმენტი შეაფასებს, რამდენად რელევანტურია მათი წარმატება მათსავე სოციოემოციურ უნარებთან.*

*ამიტომ, ახალგაზრდა რომ კონკურენტუნარიანი იყოს და შეძლოს ემოციური მდგრადობით, ნებისყოფით, გამძლეობით და შემართებით აჯობოს სხვას, უნდა შევაფასოთ, რამდენად ფარდობითია მისი „მყარი“ და „რბილი“ უნარები. ეს არის ინსტრუმენტი-გზამკვლევი, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით და ვაცნობთ მათ ამ უნარებს, ამ გზას გადიან რამდენიმე კვირის განმავლობაში, შეიძლება ერთი სემესტრიც დავუთმოთ მის გაცნობას. შემდეგ ირჩევენ იმ უნარ-ჩვევას, რომლის გამომუშავებაც სურთ, ან მასწავლებელი ურჩევს. როცა ამაზე შეთანხმდებიან, შემდეგ ახალგაზრდებს ძალიან საინტერესო პლატფორმას ვთავაზობთ, რომელზეც იტვირთება რამდენიმე საფეხურიანი დავალება, რასაც ისინი უკვე დამოუკიდებლად, კვირიდან კვირამდე, ინტერნეტპორტალში ასრულებენ. მთავარი ხიბლი ის არის, რომ პედაგოგს, სასწავლო მასალის პარალელურად, არ უწევს ამაზე მუშაობა. ის შუალედებში შეამოწმებს, რამდენად კარგად მიდის პროცესი, ძალიან საინტერესო პროცესია, თუმცა, ჯერ პრაქტიკაში არ დაგვინერგავს.“*

*„მეხუთე ინსტრუმენტი –* ***კონცეპტუალური რუკების შედგენა*** *– სემინარზე ვერ წარმოვადგინეთ, რადგან მასზე მომუშავე ჯგუფი მთლიანად უცხოელებითაა დაკომპლექტებული. თუმცა, ეს ადამიანები აუცილებლად ჩამოვლენ შემაჯამებელ კონფერენციაზე და მათ, ადგილობრივ პედაგოგიურ საზოგადოებას გავაცნობთ. კონცეპტუალური რუკების შედგენა ძალიან პოპულარული ინსტრუმენტია და ბევრ ქვეყანაშია დანერგილი. მიხარია, რომ ამ ინსტრუმენტებმა მსმენელის დიდი ინტერესი გამოიწვია “* – განაცხადა მარიკა სიხარულიძემ.







კონფერენცია

# დასაქმება – არსებული გამოწვევები და მიდგომები

მაკა ყიფიანი

„ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ ინიციატივით, სასტუმროში „ჰოლიდეინ ინ“ ჩატარდა მუდმივმოქმედი კონფერენცია „ახალგაზრდების დასაქმება – არსებული გამოწვევები და მიდგომები“ თემაზე – „არაფორმალური განათლება ტრანსვერსული უნარების (სოციალური უნარები) განვითარებისათვის და დასაქმების სერვისები“. კონფერენცია გაიმართა ევროკავშირის მხარდაჭერით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში – „ახალგაზრდები ცვლილებისათვის – უკეთესი უნარები უკეთესი მომავლისათვის“. პროექტი ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children International) ფონდთან პარტნიორობით და წარმოადგენს ევროკავშირის პროგრამის „ევროკავშირი ახალგაზრდობისათვის“ (EU4Youth) ნაწილს.



კონფერენციის მონაწილეებს მიმართეს: „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ დირექტორმა, **ირაკლი ჟორჟოლიანმა**, საერთაშორისო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, **თამთა გოლუბიანმა**, ახალგაზრდული პროგრამის კოორდინატორმა, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, **ნინო სამველიძემ**. მომხსენებელთა შესავალ სიტყვებში მიმოხილული იყო ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ჩარჩო, ევროკავშირის პროგრამის „ერასმუს +“ ახალგაზრდული კომპონენტის მიზნები და ტრანსვერსული უნარების კლასიფიკაციისადმი ევროკავშირის, საქართველოს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომა. კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს კვლევების შედეგები – სოციალური უნარების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ამ უნარების განვითარებაზე ახალგაზრდული საქმიანობის ზეგავლენის შესახებ, ასევე მიმოიხილეს დასაქმების ხელშეწყობის სერვისების მდგომარეობა საჯარო სექტორში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 4 რეგიონში – კახეთი, ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – განხორციელდა ახალგაზრდებზე ორიენტირებული შრომის ბაზრის კვლევა. ამავე რეგიონებში, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა 4 სოციალური საწარმო დააფინანსა, მთლიანი ღირებულებით – 329 545, 30 ლარი, სადაც ახალგაზრდები უნდა დასაქმდნენ. კონფერენციის მონაწილეებმა სოციალური უნარების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა განიხილეს და ამ უნარების განვითარებაზე ახალგაზრდული საქმიანობის ზეგავლენის შესახებ ისაუბრეს.

„ბავშვთა და ახალგაზრდული განვითარების ფონდის“ დირექტორმა, ირაკლი ჟორჟოლიანმა, აღნიშნა, რომ კონფერენცია არაფორმალური განათლების მომწოდებლებსა და დასაქმების სამსახურებს პარტნიორული ურთიერთობების მექანიზმების განვითარებაში დაეხმარება.

*„მოგეხსენებათ, ახალგაზრდების დასაქმება ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა, რომელსაც განსაკუთრებული მიდგომები და სწორი სტრატეგიები სჭირდება. ამას ითვალისწინებს პროექტი „ახალგაზრდები ცვლილებისათვის: უკეთესი უნარები უკეთესი მომავლისათვის“, რომელიც საპილოტეა. მასში ჩართული ორგანიზაციები, უკვე წლებია, მუშაობენ უშუალოდ ახალგაზრდებთან. პროექტის ფარგლებში, 4 რეგიონში ჩატარებული კვლევა, კონკრეტული მიმართულებების შესწავლას ითვალისწინებდა, ახალგაზრდების დასაქმების კუთხით. კვლევას ახორციელებდა ჩვენი პარტნიორი Save the Children, რომელიც აქტიურად მუშაობს ახალგაზრდობის მიმართულებით.*

*კონფერენციის მიზანია, დაიწყოს ქსელური პარტნიორობის განვითარება, რომელიც იმ ორგანიზაციების თუ ფსიქოლოგების გაერთიანებას უზრუნველყოფს, რომლებიც ახალგაზრდების დასაქმებაზე მუშაობენ, რათა შემდგომში, ქსელური პარტნიორობის ფარგლებში, განისაზღვროს კონკრეტული მიმართულებები, უფრო მასშტაბური გახდეს და აღნიშნულმა საპილოტე პროექტმა მომავალში უკეთესი ნაყოფი გამოიღოს“* – განაცხადა ირაკლი ჟორჟოლიანმა.

საერთაშორისო ორგანიზაციის – Youth social Right Network წარმომადგენელი **სულხან ჩარგეიშვილი** ამბობს, რომ კვლევის მიზანი იყო ახალგაზრდებში იმ უნარების გამოვლენა, რომელიც მათ დასაქმებისთვის სჭირდებათ, ასევე ახალგაზრდებისა და მათი დამსაქმებლების სამეწარმეო უნარების შეფასება. კვლევა გენდერულად სენსიტიური იყო – წარმოჩინდა საჭიროებები, როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში. კვლევის საფუძველზე მომზადდა ტრენინგ-მოდულები. ამჟამად, სწორედ ამ მოდულებით უტარდებათ ტრენინგები ახალგაზრდებს. გამოიკვეთა ისეთი უნარების საჭიროება, როგორიცაა: გუნდური მუშაობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის სწავლების უნარი, თვითპრეზენტაციის უნარი და ა.შ.

ნინო სამველიძემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდები და ახალგაზრდებში ინვესტირება ევროკავშირისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია როგორც საქართველოში, ასევე მთლიანად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. ეს კონკრეტული პროექტი დაფინანსებულია რეგიონული პროგრამის „ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის“ ფარგლებში, რომლის სამი მთავარი მიზანია: ახალგაზრდების გააქტიურება; მათი ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მათთვის ისეთი უნარების გადაცემა, რომელიც არსებულ ბაზარზე უფრო კონკრეტუნარიანს გახდის. *„მსგავსი კონფერენციების და კონკურსების მიზანი და ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომ ჩვენმა პარტნიორებმა, კონტრაქტორებმა იმუშაონ რეგიონებში. შესაბამისად, ეს კონფერენციაც და ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ყველა სხვა აქტივობები ემსახურება არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას, დედაქალაქში და მის ფარგლებს გარეთ“.*

მკვლევარი **თეონა მატარაძე** (DEPA conulting) ამბობს, რომ კვლევა „ახალგაზრდების ტრანსფერული უნარების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან“ რამდენიმე ტიპის მეთოდის გამოყენებას გულისხმობდა. გამოიკითხნენ ახალგაზრდები, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები, ექსპერტებმა შეისწავლეს დოკუმენტები. კვლევის მთავარი შედეგი იყო ის, რომ გამოვლინდა სერიოზული დისბალანსი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და მიწოდებას შორის. *„კვლევამ აჩვენა, რომ პროფესიულ განათლებაზე საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა, თუმცა ამას არ პასუხობენ ახალგაზრდები, რომლებიც, ძირითადად, უმაღლესი განათლების მიღებაზე არიან ორიენტირებული; შრომის ბაზრის მოთხოვნები, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, დაუძლეველია დასაქმებულთა შორის“* – აღნიშნა მკვლევარმა.

**ლანა გაუარაშვილი** ორგანიზაცია „ახალგაზრდული ხედვა-კახეთის“ წარმომადგენელია. მან ახალგაზრდების დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრა და მათ შორის რამდენიმე დაასახელა: არაფორმალური განათლების ნაკლებ ხელმისაწვდომობა; გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაბალი დონე; თავისუფალი სივრცეების არასებობა, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, თავისუფალი დრო სწორად და პროდუქტიულად გაატარონ; ბიბლიოთეკების არარსებობა (თუ არსებობს თემში ან რეგიონში, მოუწესრიგებელია), მოძველებული ლიტერატურა; გოგონების დიდი რაოდენობა ნაადრევი ქორწინების მსხვერპლია; ახალგაზრდების უმრავლესობა ტოვებს რეგიონს, დასაქმების და განათლების მიღების მიზნით ქალაქში მიდის ან საზღვარგარეთ მიემგზავრება და სხვ.

*„საჭიროებებისა და პრობლემების მიუხედავად, რეგიონში როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სტრუქტურების მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-ის დახმარებით შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, გაიწერა ახალგაზრდული საქმიანობის კონკრეტული, სამოქმედო გეგმა. მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტმა აიღო პასუხისმგებლობა, სხვადასხვა თემში, ახალგაზრდებისთვის გამაჯანსაღებელი სპორტული სივრცეები მოაწყოს. კერძო სექტორი, ახალგაზრდების სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით, სხვადასხვა პროგრამებს ახორციელებს. თუმცა, მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პროგრამები საკმარისი არაა და მათ შესახებ ინფორმაცია ახალგაზრდებამდე ნაკლებად აღწევს.*

*ახალგაზრდული მიმართულებით პრობლემები და საჭიროებები იმდენად მრავლისმომცველია, რომ მათთან გამკლავება არც ისე მარტივია, თუმცა ჩვენი ორგანიზაციის მიერ გაწეულმა სამუშაოებმა გარკვეულ შედეგებზე გაგვიყვანა – ახალგაზრდებმა განივითარეს შემდეგი კომპეტენციები: ურთიერთობის, მეწარმეობისა და ინიციატივის, გარემოსდაცვითი, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებლად სწავლის, ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების“* – აღნიშნა ქალბატონმა ლანამ.

**დავით დარსაველიძე**, ნიუ ჰაუ ტრენინგ ცენტრი, პარტნიორი/მკვლევარი, „წარმატების პრაქტიკული უნარები – განათლებისა და დასაქმების ვექტორების თანხვედრა“: *„რეგიონებში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდობა სულ სხვა პლანეტაზეა. ბავშვს რომ ჰკითხეს, რა გინდა გამოხვიდეო, უპასუხა – პენსიონერიო იმიტომ, რომ ოჯახში ერთადერთი ფულის შემომტანი პენსიონერი ბებია ან ბაბუაა.*

*როცა სკოლის მოსწავლეებს ვხვდებით იკვეთება, რომ მათ წარმატების არასწორი აღქმა აქვთ. შეკითხვაზე – რა არის წარმატება? გპასუხობენ – სამსახურის შოვნა, „ფულის გაკეთება“, რეალურად, ისინი თვითრეალიზებას და ბედნიერებას ნაკლებად მოიაზრებენ. შესაბამისად, ასეთი ბავშვი შეიძლება ისეთ ოცნებას გამოეკიდოს, რომელიც სხვაგან მიიყვანს და არ იქნება საზოგადოებაში რეალიზებული. პრობლემაა, ასევე, ახალი პროფესიების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა; დამოუკიდებელი აზროვნება – ხშირ შემთხვევაში, რეგიონში, სხვის ნებაზე ირჩევენ პროფესიას; პროფსასწავლებლებისა და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების არცოდნა“.*

კონფერენციის დასასრულ მცირე სამუშაო ჯგუფების შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოხდეს ტრანსვერსული უნარებში არაფორმალური განათლების მომწოდებლების და დასაქმების სერვისების კოორდინაცია, როგორი შეიძლება იყოს ამ უნარებში არაფორმალური განათლების ინსტიტუციონალიზაციის გზები და როგორ უნდა წარიმართოს, ინტერნეტული პლატფორმის გამოყენებით, ქსელური მუშაობის ხელშეწყობა ახალგაზრდობის არაფორმალური განათლებით დაინტერესებულ აქტორებს შორის.

მსგავსი შინაარსის ღონისძიება, წლის განმავლობაში, კიდევ ორჯერ ჩატარდება.

კონფერენციის ერთ-ერთი მოსალოდნელი შედეგია უკვე არსებული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება დასაქმების სამსახურების სამიზნე ჯგუფის ახალგაზრდებისთვის, ასევე, წინადადებების შემუშავება ისეთი სახელმწიფო პროგრამების განვითარებისთვის, რომელიც დასაქმების ხელშეწყობის სისტემის ნაწილი უნდა გახდეს.



**მასწავლებლის გლობალური ჯილდო — 2019**

# მილიონობით ადამიანის სიყვარული „მოვიგე“

ლალი ჯელაძე

ქართველი მასწავლებლის „გლობალური კვირეული“ დასრულდა არა მილიონის მოგებით, არამედ ყველაზე მთავარი აღიარებით – ქვეყანას გაუჩნდა პრეტენზია, რომ ლადო აფხაზავას სახით ჰყავს მასწავლებელი, რომელიც მსოფლიომ 10 საუკეთესო მასწავლებელს შორის აღიარა და მას „ვარკის ფონდისა“ და „გლობალური ჯილდოს“ ელჩის სტატუსი მიანიჭა. ჩვენ ახლა ჩვენი პროფესიული ელჩი გვყავს, რომელსაც წინ ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი, რადგან ლადოს სერიოზული მისია დაეკისრა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით უქომაგოს მასწავლებლის პროფესიას და დაარწმუნოს ლიდერები, თუნდაც საკუთარ ქვეყანაში, რომ მისი პრესტიჟის გაზრდა ქვეყნის პრესტიჟის ამაღლებას უტოლდება.

როგორი იყო წლევანდელი განათლების გლობალური ფორუმი და დაჯილდოების ცერემონიალი, ამის შესახებ „კოალიცია განათლება ყველასთვის – საქართველოს“ დირექტორი გიორგი ჭანტურია გვიყვება, თუმცა ინტერვიუს ჩაწერისას მაფრთხილებს, რომ აზრის დალაგება და შთაბეჭდილებების გადმოცემა უჭირს, რადგან ჯერ კიდევ გლობალური ცერემონიალის ეიფორიაშია.

**გიორგი ჭანტურია:** *„ძალიან ემოციური იყო დუბაიში ყოფნის 5 დღე. რაც იქ ვნახეთ და მივიღეთ, ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ეს ყველაფერი იმდენად ემოციური და სტრესული აღმოჩნდა, რომ რაღაც მომენტებში იყო ცრემლიც და იყო სიხარულიც. საქართველოში დაბრუნებულები ჯერ ისევ ეიფორიაში ვართ.*

*დაჯილდოება განათლების გლობალური ფორუმის ბოლო ნაწილია, რომელიც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ყველაზე მნიშვნელოვანი თავად ეს ფორუმია, რომელიც საკმაოდ წარმომადგენლობითია – მას ესწრებოდნენ განათლების წამყვანი სპეციალისტები და ექსპერტები მსოფლიოს მასშტაბით, ქვეყნის ლიდერები, პრემიერ-მინისტრები, აქტივისტები. მაგალითად, ალეპოდან იყო ბანა ალა ბედი, პატარა გოგო აქტივისტი, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის არის ცნობილი, სტივენ პინკერი, ჰარვარდის პროფესორი, ტონი ბლერი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი – ასეთ საზოგადოებაში წარიმართა წლევანდელი ფორუმი. ჩატარდა მასტერ-კლასები, ვორქშოფები, საჯარო შეხვედრები, ინდივიდუალური კონსულტაციები. კონტაქტებისთვის ეს საუკეთესო საშუალება იყო, ჩვენთვის, როგორც ქვეყნისთვის, ბევრის მომცემი – მაქსიმალური ცოდნა და ინფორმაცია წამოგვეღო, გაგვება კავშირები, რაც საერთაშორისო ინტეგრაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ინტეგრაცია თავისთავად არ ხდება, სწორედ ასეთი ღონისძიებები და ფორუმები უნდა გამოვიყენოთ ამისთვის. ვფიქრობ, ამ კუთხით ძალიან წარმატებული და ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენთვის განათლების გლობალური ფორუმი, მაქსიმალურად ვიშრომეთ ამისთვის.*

*მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ეტაპი დასრულდა, ეს არ არის დასასრული. ყველაფერი ახლა იწყება, რადგან ჩვენი ფინალისტი* ***ლადო აფხაზავა*** *უამრავ ღონისძიებასა და კამპანიაშია ჩართული, ის უკვე პროფესიის სახეა, პროფესიის ელჩი, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით აქვს პასუხისმგებლობა აღებული – მან გლობალურად უნდა გაუზიაროს თავისი გამოცდილება კოლეგებს მთელი მსოფლიოდან. ამ კუთხით, მისი თანამშრომლობა გრძელდება ვარკის ფონდთან, გლობალურ ჯილდოსთან.*

*აუცილებლად მინდა გითხრათ იმის შესახებაც, თუ რა გამოხმაურება და ემოცია მოჰყვა ლადოს პრეზენტაციას. ნახევარსაათიან პრეზენტაციაში მან შეძლო, მაქსიმალურად წარმოეჩინა ის შესაძლებლობები, რომელმაც გლობალური ჯილდოს ყურადღება მიიქცია. იგი მოუყვა დიდ აუდიტორიას რითია გამორჩეული – პროექტული სწავლება, სათემო პროექტები, რომლითაც უამრავი რამ შეცვალა თემში, დაწყებული გზების დაგებით დამთავრებული სკოლის ეზოში ხეების დარგვით, ისაუბრა იმაზეც, როგორ იყენებს თამაშებს გაკვეთილებზე სწავლა-სწავლების პროცესში, ვიდეოც აჩვენა – „ერთი დღე ჩიბათის სკოლაში“, მერე თამაშიც ჩართო და ააცეკვა მთელი დუბაი.*

*ფორმატს ყოველ წელს ცვლიან. წელს ყველაზე მასშტაბური ფორუმი იყო. ამდენი ქვეყანა, მინისტრი და ადამიანი არც ერთ ფორუმში არ მონაწილეობდა. მნიშვნელოვანი აქცენტები გაკეთდა სამ რამეზე – პირველ რიგში, ფორუმის უმთავრეს მიზანზე, რომ მასწავლებელი მნიშვნელოვანია (ღირებულია), თანასწორობაზე – თანასწორობა განათლებაში და ტექნოლოგიებზე – მის სწორ გამოყენებაზე განათლებაში.*

*იმ ხუთი დღის განმავლობაში იმდენად ბევრი ემოცია იყო, რომ ცოტა მიჭირს იმის გადმოცემა, რაც გამარჯვებულის გამოცხადებისას მქონდა. იმ მომენტში ყველა დაძაბული ვიყავით, მაგრამ მაინც ძალიან თავისუფლები, რადგან როცა ვხედავდით რა მასშტაბში გვეჭირა, ათ ფინალისტს შორის, ერთი ღირსეული ადგილი, დამერწმუნეთ, თავს ყველა გამარჯვებულად მივიჩნევდით. ფინალისტებს შორის ურთიერთობას რომ ვაკვირდებოდი, საოცარი გრძნობა მეუფლებოდა, მარტო კონკრეტულ მასწავლებლებს შორის კი არა, ქვეყნებს შორის გაიბა ხიდები. ბუნებრივია, ველოდით ლადოს გამარჯვებას, მაგრამ არანაირად არ გვქონია გულისწყვეტა, რომ კენიელმა მასწავლებელმა გაიმარჯვა. ერთი ძალიან საინტერესო კადრია დაჭერილი, როცა პიტერ ბიჩი გამარჯვებულად გამოაცხადეს, ლადო ჰაერშია, ორივე ხელი აქვს აწეული და არის ძალიან ბედნიერი. მან, დაახლოებით, ისე გამოხატა უკვე დამეგობრებული კენიელი მასწავლებლის გამარჯვება, თითქოს თვითონ გაიმარჯვა. კონკურენტის გამარჯვების ასე ღირსეულად აღნიშვნა კიდევ ერთხელ მიანიშნებს მის პიროვნულ ღირსებაზე.*

*გლობალურ ფორუმზე ხაზგასმული იყო ეროვნული ჯილდოს მნიშვნელობა, ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, უნდა გავრცელდეს ქვედა დონეებზე. უკვე 38 ქვეყანაშია ეროვნული ჯილდო დაწესებული. ძალიან საამაყოა, გლობალურ ჯილდოზე აღნიშნეს, რომ საქართველო არის ერთ-ერთი გამორჩეული. გამოცდილება, რაც იქ შევიძინეთ, მნიშვნელოვანია ეროვნული ჯილდოს განვითარებისთვის. ჩვენს სტენდზე გამოვფინეთ წლევანდელი ეროვნული ჯილდოს მფლობელის, მანანა კაპეტივაძის ბანერი, ხოლო მეორე გამარჯვებული თავად წარდგა ფინალში მსოფლიოს წინაშე.*

*უმნიშვნელოვანესია საზოგადოების მონაწილეობა ეროვნულ ჯილდოში და ვისაც სურვილი აქვს, 20 აპრილამდე შეუძლია წარადგინოს აპლიკაცია. სხვათა შორის, უპრეცედენტო გამოხმაურება აქვს წელს ეროვნულ ჯილდოს.*

*გლობალურ ჯილდოზე ჩვენ კიდევ დავბრუნდებით.“*

**მანანა რატიანი** ამბობს, რომ ამ მოვლენას – „მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოს“ მთავარი მიზნის გადმოსახედიდან უნდა შევხედოთ – მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და მისი პრესტიჟის ამაღლება, რადგან დღეს პროფესიის პოპულარიზება მართლაც უმნიშვნელოვანესია.

*„ეროვნული ჯილდოს პირველმა გამარჯვებულმა, ლადო აფხაზავამ ძალიან კარგად გაართვა თავი მისიას – ამ ხნის განმავლობაში მან შეძლო, იმ ადამიანებისთვისაც კი, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართულები ამ სფეროში, საინტერესო გაეხადა განათლების თემები და გაუჩინათ ინტერესი, ამ საკითხებზე დაეწყოთ საუბარი. ლადო კოლეგებს უზიარებდა გამოცდილებას და საუბრობდა მიღწევებსა და გამოწვევებზე, რითაც საკუთარი პროფესიისადმი ინტერესს მომავალ მასწავლებლებშიც აღვივებდა. ვფიქრობ, ლადო გლობალურ დონეზეც იმავეს შეძლებს, წარმატებულად და ღირსეულად გაართმევს თავს პროფესიის ელჩის ფუნქციას მსოფლიო მასშტაბით.*

*თუკი ადრე, 2017 წელს, როცა ლადო ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული გახდა, ვსაუბრობდით იმაზე, რომ მან ჩიბათი გააცნო საქართველოს, ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლადომ საქართველო გააცნო მსოფლიოს. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასწავლებლები ხედავენ, როგორ მოექცა მათი საქმიანობა და პროფესია მსოფლიოს ყურადღების ქვეშ, რომ სხვებსაც ისეთივე პრობლემები აქვთ, როგორც საქართველოშია, რომ მასწავლებლებს უფრო მეტი რამ აერთიანებთ, ვიდრე აქამდე ეგონათ. გლობალურმა ჯილდომ და ფინალისტი მასწავლებლების ბიოგრაფიებმა აჩვენა, რამდენად რთულია ეს პროფესია ყველა ქვეყანაში, მიუხედავად მისი მასშტაბისა და განვითარებისა.*

*ლადო ჩემთვის უსიტყვოდ და უდავოდ გამარჯვებულია. თუ გადავხედავთ რამდენმა ქვეყანამ მიიღო ჯილდოს კონკურსში მონაწილეობა და რამდენ ათეულათასობით მასწავლებელს ჰქონდა აპლიკაცია წარდგენილი, ათეულში მოხვედრა ნამდვილად გამარჯვებაა. იმ ქვეყნებსაც თუ გადავხედავთ, რომლის მასწავლებლებიც ფინალში აღმოჩნდნენ, საქართველო, მათთან შედარებით, ყველაზე პატარა ქვეყანაა, ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანი განაცხადია ჩვენი მხრიდან, რომ საქართველოში არაერთი საინტერესო პრაქტიკა გვაქვს, რომლის შესახებაც შეიძლება მოვუყვეთ მსოფლიოს.*

*ყველანაირად ვეცდებით, რომ ლადოს გვერდში დავუდგეთ, რათა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მასწავლებელთა პროფესიის პოპულარიზება სათანადო დონეზე ავიდეს “*

2018 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული **მანანა კაპეტივაძე** ამბობს, რომ არა ეროვნული ჯილდო და **ირინა ხანთაძე**, ჩვენ, ალბათ, ისევ ყურადღების მიღმა დავრჩებოდით და არც მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ეცოდინებოდა, რომ არსებობს ქვეყანა საქართველო, რომელსაც გამორჩეული მასწავლებლები ჰყავს ერთი პატარა სოფლიდან, რომელსაც ჩიბათი ჰქვია. *„ეროვნულმა ჯილდომ მართლა ძალიან წამოსწია წინ მასწავლებლის პროფესია, უფრო პრესტიჟული გახადა. მასწავლებლებთან შეხვედრებისას ვიგებ, თუ როგორ იზრდება კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა. დარწმუნებული ვარ, ეროვნულ ჯილდოსთან ერთად, ამ მასწავლებლებში მოტივაცია ლადოს წარმატებამაც განაპირობა. ლადოს ფინალში გასვლა მართლაც საამაყოა მთელი ქვეყნისთვის. ჩვენს ისტორიას ქართველი მასწავლებლის ასეთი გლობალური ჯილდოთი წარმოჩენა ჯერ არ ახსოვს.“*

## ესეც დაპირებული ინტერვიუ ჩვენს მკითხველს

ლადო ახლა უკვე „პროფესიის ელჩის“ (ვარკის ფონდისა და გლობალური ჯილდოს ელჩი) ამპლუაში გვიყვება დუბაიში მიღებულ შთაბეჭდილებებს და გვაცნობს სამომავლო გეგმებს, რაც მის ერთგვარ მისიად იქცა. ამბობს, რომ პროფესიის პოპულარიზაციისთვის ბევრი რამ უნდა გააკეთოს და ამისთვის სხვადასხვა ფონდები მოიძიოს. მასწავლებლის ყველაზე დიდმა ქომაგმა სახელმწიფოსაც უნდა უთხრას მთავარი სათქმელი – მასწავლებლის პროფესია უფრო მეტად უნდა დაფასდეს (ხელფასით, გარკვეული შეღავათებით), რომ ახლგაზრდებმა დაინახონ როგორ აფასებს ქვეყანა მასწავლებელს. თუმცა, ამბობს, რომ პრობლემა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში კი არა, მთელ მსოფლიოშია, გლობალური ჯილდოს კამპანიის დაწყების მიზეზიც ხომ ეს იყო.

## ჩვენ, ელჩებს...

„ჩვენ, ელჩებს პატივი გვაქვს დავესწროთ სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ღონისძიებებსა და ფორუმებს, საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საერთაშორისო კონფერენციებს. თუ ქართველი მასწავლებლების სურვილი იქნება, ჩვენც მოვიწვევთ, თუნდაც, ათეულის წარმომადგენელ მასწავლებლებს, რომლებიც გამოცდილებას გაუზიარებენ ქართველ კოლეგებს.

ამის გარდა, უკვე მოვიფიქრეთ საით ავიღოთ გეზი. კოალიცია „განათლება ყველასთვის – საქართველოსთან“ ერთად დავგეგმეთ ქსელის გაფართოებაზე მუშაობა და „მასწავლებლის გლობალურ ჯილდოში“ სომხეთის ჩართვა. რადგან კოალიციამ გლობალურ ჯილდოზე აკრედიტაცია მიიღო, მას უკვე აქვს უფლება ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არ არის ჩართული კამპანიაში, გააწევრიანოს გლობალურ ჯილდოში.

მე და ქალაბატონი ირინა აუცილებლად წავალთ სომხეთში და ამ იდეის ინიცირებას მოვახდენთ. თუკი იქ არ აღმოჩნდება ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია, მაშინ გადავინაცვლებთ აზერბაიჯანში და ა.შ. თუნდაც, ორი ქვეყანა რომ გავაერთიანოთ გლობალურ ჯილდოში, ეს უკვე ძალიან კარგი შედეგი იქნება. ამ იდეაზე უკვე ვიმსჯელეთ დუბაიში და დიდი მოწონება დაიმსახურა ჯილდოს ადმინისტრაციის მხრიდან.

## როცა ქვეყნის სახელით აკეთებ რამეს

5 დღის განმავლობაში ძალიან დატვირთულ რეჟიმში მოგვიწია მუშაობა. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი ამდენი ენერგია როგორ მქონდა, წარმოიდგინეთ, ვერ დამღალეს. ალბათ, ძალა იმანაც შემძინა, რომ იქ მხოლოდ ლადო აფხაზავას სახელით კი არა, ქვეყნის სახელით ვიყავი წარდგენილი და როცა ქვეყნის სახელით აკეთებ რამეს, თურმე საკუთარ თავში დიდ ძალას პოულობ, რაღაც გავსებს. მიხარია, რომ ეს შევძელი. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ქართული დროშის დახატვა ვასწავლეთ. ევროპისა და სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნების წარმომადგენლები საქართველოს დროშას თეთრ ფურცლებზე ხატავდნენ და ისე გვხვდებოდნენ დარბაზში. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ადამიანი იძახდა „ჯორჯიას“, როცა ათეული შეგვიყვანეს ცერემონიალზე. თავისთავად, ეს გაძლიერებს კიდეც და სტიმულს გმატებს მაქსიმალურად დაიხარჯო შენი ქვეყნისთვის.

## პიტი

პიტი არაჩვეულებრივი მასწავლებელი და ადამიანია. მთელი იქ ყოფნის განმავლობაში ხელჩაკიდებული დავდიოდით, რადგან მაგრძნობინა, რომ მას ჩემი გვერდში ყოფნა სჭირდებოდა – ეს ადამიანი კენიიდან არც ერთ ქვეყანაში არ იყო ნამყოფი და თვითმფრინავშიც კი პირველად იჯდა. რატომღაც, გაცნობის წუთიდანვე, ერთმანეთს შევეწყვეთ, უსიტყვოდ გავუგეთ მე, ქალბატონმა ინდოეთიდან და პიტერმა. სამეული ძალიან დავმეგობრდით. ჩემთან დამშვიდობებისას ინდოელი ქალბატონი ძლივს დააწყნარეს, ისე ტიროდა. ხუთი დღის განმავლობაში კენიელ მასწავლებელზე მამა-შვილურად ვზრუნავდი, სასტუმროშიც მე მიმყავდა, ენა ბარიერს არ გვიქმნიდა, სათქმელს მაინც ვაგებინებდით ერთმანეთს. როცა ჰიუ ჯეკმანმა მისი სახელი გამოაცხადა, გულწრფელად გამიხარდა, რადგან ის ნამდვილად არის მასწავლებელი, რომელიც სჭირდება მსოფლიოს.

## მხოლოდ ნიჭიერებით და განსწავლულობით შეფასება არ შეიძლება

ხშირად ვეუბნები ბავშვებს: ბავშვებო, თემა არ ვიცი კარგად და ხომ არ დამეხმარებით? არიქა, მომეჭრა თავი, დამიდექით გვერდში, ვერ ჩავატარებ მეცხრე კლასში გაკვეთილს. როცა ბავშვები გრძნობენ, რომ ლადო მასწავლებელს მათი დახმარება სჭირდება, ყირაზე დგებიან, წინა წლის მასალას იმეორებენ, თემატურსაც მიმზადებენ და გაკვეთილის დაგეგმვაშიც მონაწილეობენ. ამ მეთოდმა კარგად იმუშავა, ამიტომ, სულაც არ არის საჭირო მოსწავლეს დავანახო, რომ მე ყველაფერი ვიცი. პირიქით, ხანდახან მას უნდა სთხოვო დახმარება და უპირატესის როლში ჩააყენო, აგრძნობინო, რომ საჭიროა. ასე ავამუშავე ბევრი ისეთი მოსწავლე, რომელსაც სკოლის გაგონებაც არ უნდოდა. მათ ვთხოვდი და ვარწმუნებდი: აუ, ხვალ ხო მოხვალ, შენ რომ არ მოხვიდე ჩამეშლება გაკვეთილი. ამით ბევრი ბავშვი დავუბრუნე სკოლას.

მხოლოდ კონკრეტული პარაგრაფის შემოწმებას არ მოაქვს შედეგი, ჩვენ გვჭირდება კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანების აღზრდა, ქვეყანას სჭირდება ახალი ტიპის ლიდერები და არა მხოლოდ დაზუთხული ტექსტების ამარა დარჩენილი ახალგაზრდები. საზოგადოება ყოველთვის ექცევა რაღაც გავლენების ქვეშ, თუნდაც, პატარა, უმნიშვნელო ნაპერწკალმა შეიძლება ცეცხლი დაანთოს.

## ეროვნული ჯილდო მასწავლებლის პროფესიის ყველაზე დიდი ქომაგისთვის

თავიდან ეროვნული აპლიკაცია იმიტომ შევავსე, რომ ვიფიქრე, იქნებ მართლა ვაკეთებ რაღაცა ღირებულს-მეთქი. გამარჯვების მოლოდინი არ მქონია, ისიც არ ვიცოდი, ჯილდოს საუკეთესო ათეული და ხუთეული თუ ჰქონდა. მახსოვს, საქართველოში არ ვიყავი, როცა დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ათეულში გახვედიო. ცოტა გამიკვირდა, ვერ მივხვდი რა ხდებოდა. ჩემს ცხოვრებაში ხშირად ხდება ისე, როცა მგონია, რომ ყველაფერი დასრულდა, სწორედ მაშინ იწყება ყველაფერი – ეროვნული ჯილდოც ასეთი დასაწყისი იყო მაშინ ჩემთვის.

ვარკის ფონდის ელჩის ოქროს მედალი ძალიან მსხვილი მონეტაა. სასიამოვნოა, რომ საქართველოში ჩამოვიტანეთ და ის არა მხოლოდ ჩემი, არამედ საზოგადოების საკუთრებად ვაქციე, მაგრამ ჩემს მედლებს შორის, ყველაზე ძვირფასი მაინც ქართული ეროვნული ჯილდოს მედალია, რადგან ეს ჩემი პირველი აღიარებაა.

საკუთარი თავისთვის არასოდეს მიბრძოლია. როცა დავბრუნდი, ბევრმა მითხრა, მილიონი დოლარი როგორ არ მოიგეო. სამაგიეროდ, მილიონობით ადამიანის სიყვარული „მოვიგე“, რაც ჩემთვის მილიონს კი არა, მილიარდზე მეტს ნიშნავს, ემიგრანტებიც კი შემეხმიანენ, ისეთი ძლიერი ფონდები დამიკავშირდნენ, რომ შეიძლება ჩემი ქვეყნის მასწავლებლებისთვის მართლა ღირებული საქმე გავაკეთო.

ჩემს მოსწავლეებს ხშირად ვეუბნებოდი – იცი, შენ ძალიან მაგარი ფილოლოგი იქნები, შენ ტექნიკური აზროვნება გაქვს და ამიტომ კარგი მათემატიკის მასწავლებელი დადგები.... და დღეს მე უკვე მყავს 105 მოსწავლე, რომელმაც მასწავლებლის პროფესია აირჩია.

ინფორმაცია

# როდის გამოცხადდება რეგისტრაცია მასწავლებელთა გამოცდებზე

*მასწავლებელთა 2019 წლის გამოცდებზე რეგისტრაცია წელს, შედარებით, გვიან დაიწყება. ამის მიზეზად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **სოფო გორგოძემ** სქემაში დაგეგმილი ცვლილებები დაასახელა. „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გეგმავს სქემის ცვლილებას და ამის შემდეგ გამოცხადდება რეგისტრაცია, რაც რეგისტრაციის ვადების შემჭიდროებასაც გამოიწვევს.“*

***როდის გამოცხადდება რეგისტრაცია და შეეხება თუ არა რაიმე ცვლილება გამოცდებს ან მისი ჩატარების გრაფიკს?*** *– ამის გარკვევა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილესთან, **მანანა რატიანთან** ვცადეთ.*

– ცვლილებები არ შეეხება გამოცდებს. მაისში სამინისტროს გარკვეული წინადადებები ექნება მასწავლებლებთან და სწორედ ამ პერიოდში გამოცხადდება რეგისტრაციაც. რაც შეეხება ცვლილებებს, მხოლოდ ერთი მიმართულებით იგეგმება – წელს, დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მიეცემათ დარეგისტრირების საშუალება. საუბარია როგორც ესგ-ეს შესაბამის საგანზე, ისე პედაგოგიკის მიმართულებაზე. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ახალგაზრდებს კიდევ ერთი წელი უწევდათ ლოდინი, რომ გამოცდა ჩაებარებინათ და სკოლაში შესულიყვნენ. ფაქტობრივად, მასწავლებლობის მსურველი ახალგაზრდებისთვის ეს დაკარგული წელი იყო (რის გამოც ისინი, ხშირად, სხვაგან იწყებდნენ მუშაობას), სისტემისთვის კი – დაკარგული კადრები. ვფიქრობთ, სქემაში ეს ძალიან მნიშვნელოვანი ჩანაწერია.



**– შეიცვლება თუ არა გამოცდების ჩატარების გრაფიკი?**

– როგორც იგეგმება, რეგისტრაცია მაისში უნდა გამოცხადდეს, ხოლო ივლისში გამოცდები დათქმული გრაფიკით უნდა ჩატარდეს. მასწავლებლების გამოცდები ჩვეულებრივ მიყვება ეროვნულ გამოცდებს, რადგან გამოცდების ჩატარების მენეჯმენტი და ორგანიზება ბევრად უფრო იოლია, როცა საგამოცდო ოთახები მზად გვაქვს, დაქირავებული არიან ზედამხედველები და ა.შ.

**– რეგისტრაციის დაგვიანებით დაწყება გამოიწვევს თუ არა მისი ვადების შემჭიდროებას?**

– შესაძლებელია გამოიწვიოს, ზუსტად ვერ გეტყვით. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ მასწავლებლები მოლოდინის რეჟიმში არიან და თავს გაართმევენ რეგისტრაციის პროცედურას. ზუსტად ერთი წუთის საქმეა – კომპიუტერთან დარეგისტრირებას არც საბუთების მოგროვება სჭირდება და არც დიდი დრო. აქედან გამომდინარე, არა მგონია, რომ ამ კუთხით რაიმე პრობლემა შეიქმნას.

**– გაქვთ თუ არა მოლოდინი, რომ წელს გაცილებით მეტი მასწავლებელი დარეგისტრირდება?**

– დარეგისტრირება მთავარი არ არის, მთავარია რამდენი მივა ბოლომდე, რადგან, ხშირ შემთხვევაში, რეგისტრირდება ბევრი, მაგრამ გამოცდაზე 30 პროცენტზე მეტი არ ცხადდება. დაველოდოთ, ვნახოთ რა მოხდება, წინასწარ ძალიან ძნელია ვარაუდების გამოთქმა.

ლალი ჯელაძე

---

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

**გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებს, მაგისტრობის კანდიდატებსა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსის მონაწილეობის მსურველებს სთხოვს გაითვალისწინონ, რომ რეგისტრაციის ძირითადი ეტაპი 3 აპრილის 18:00 საათამდე გრძელდება.**

ძირითადი ეტაპის დასრულების შემდეგ მსურველები გამოცდებისათვის ვეღარ დარეგისტრირდებიან. 2019 წლის გამოცდებისათვის რეგისტრაცია 12 მარტს დაიწყო. 25 მარტის მონაცემებით:

- ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 12 ათასზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა;
- სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის სურვილი 600-ზე მეტმა სტუდენტმა გამოთქვა;
- საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის ელექტრონული განაცხადი 1700-ზე მეტმა აპლიკანტმა შეავსო.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია წელსაც რამდენიმე ეტაპად ტარდება. რეგისტრაციის პირველ ეტაპზე აბიტურიენტმა აუცილებლად უნდა აირჩიოს ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი, მიუთითოს ქალაქი – ეს ინფორმაცია ვადის ამოწურვის შემდეგ ვეღარ შეიცვლება. რეგისტრაციის დეტალური ინსტრუქცია მოცემულია „ცნობარში აბიტურიენტებისათვის“. რეგისტრაციისათვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოიცა სპეციალური კალენდარი, რომლის საშუალებით აბიტურიენტები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას რეგისტრაციის ვადებისა და გამოცდებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ. კალენდრები სკოლებსა და რესურსცენტრებს ურიგდებათ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი საინფორმაციო შეხვედრებს მართავს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. შეხვედრებზე აბიტურიენტებსა და დაინტერესებულ პირებს ცენტრის წარმომადგენლები ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის ინსტრუქციებსა და გამოცდის პროცედურებს დეტალურად აცნობენ.

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური**
**თბილისი, 0186 მინდელის ქ. №9;**
**ტელ.: +99532 2473333 www.naec.ge**

---

# განათლების მინისტრს პარლამენტში მოუსმინეს

საქართველოს პარლამენტში, ინტერპელაციის წესით, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მინისტრს, **მიხეილ ბატიაშვილს** მოუსმინეს. მან განათლების სისტემაში დაგეგმილ იმ სიახლეებზე ისაუბრა, რომლებსაც საზოგადოებაში, მომხრეებთან ერთად, ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა და კიდევ ერთხელ სცადა პარლამენტარების დარწმუნება, რომ დაგეგმილი ცვლილებები განათლების სისტემისთვის სიკეთის მომტანი იქნება.

*„ჩვენ გთავაზობთ არა გამოცდების მოხსნას, როგორც ამას დაარქვეს ოპონენტებმა, არამედ სასკოლო შეფასებების რეფორმირებას იმისათვის, რომ შეფასება გახდეს შედეგსა და განვითარებაზე ორიენტირებული“* – განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსწავლეების შედეგები საერთაშორისო შეფასებებში ისევ დაბალია და, ეროვნული შეფასებების შედეგების მიხედვით, მოსწავლეების უმეტესობას დაბალი კომპეტენციები აქვს, ადასტურებს, რომ სასკოლო გამოსაშვები გამოცდების შემოღებით განათლების სისტემაში არაფერი შეცვლილა, სწავლა-სწავლების გაუმჯობესების კუთხით.

*„ტესტის ჩაბარების შედეგები არ ასახავდა, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპეტენციების ფლობის მიმართულებით, მოსწავლეთა რეალურ შესაძლებლობებს. ცენტრალიზებული სასკოლო გამოსაშვები გამოცდების დაწესებით მოსწავლეების დასწრება არა თუ გაუმჯობესდა, არამედ პირიქით, გაუარესდა. მოსწავლეები მოსწყდნენ საგაკვეთილო პროცესებს და ცენტრალიზებული გამოცდებისთვის სკოლის გარეთ დაიწყეს მომზადება. რეალურად, მთავარი აქცენტი, ბოლო კლასებში, გადავიდა გამოცდის ჩაბარებისთვის მზადებაზე და არა სასწავლო პროცესზე, რამაც დაასუსტა სკოლა, როგორც ინსტიტუცია და რეალურად, სკოლამ ვეღარ შეძლო მისი მთავარი ფუნქციის – გამართული სასწავლო პროცესის წარმართვა ისე, როგორც ეს ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული.*

*არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ არის დაწესებული ცენტრალიზებული სკოლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები ერთად – ამგვარი დუბლირება არც ერთი ქვეყნის განათლების სისტემაში არ გვხვდება. 2018 წელს OECD ექსპერტებმა საქართველოში განათლების შეფასების სისტემების კვლევა ჩაატარეს. მის შუალედურ ანგარიშში მოცემულია, რომ სკოლის დამამთავრებელი და უმაღლესში მისაღები გამოცდების ერთდროულად არსებობა არაეფექტური და არამიზნობრივია.*

*რეალურად, მიმდინარეობს სასკოლო შეფასებების რეფორმირება იმისათვის, რომ შეფასება გახდეს შედეგსა და განვითარებაზე ორიენტირებული. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ხასიათის ცენტრალიზებული შეფასებები განხორციელდება მე-6 და მე-10 კლასების – ორი მნიშვნელოვანი სასწავლო საფეხურის ბოლოს სხვადასხვა საგანში. მისი მიზანი იქნება მეტი ინფორმაციის მიწოდება სკოლებისთვის მოსწავლეების ცოდნის, მოსწრების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს და უკეთესად დაიგეგმოს სწავლა-სწავლების პროცესი. სკოლის დამამთავრებელი გამოცდების ჩატარებას კი უზრუნველყოფს თავად სკოლა“* – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

სკოლის მართვაზე საუბრისას, მან აღნიშნა, რომ სკოლების მართვის დიფერენცირებული მიდგომა, სკოლების მართვის ეფექტიანობის გასაძლიერებლად, გამოსავალია. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს სკოლებში სასწავლო პროცესის და გარემოს მართვის დემოკრატიული და განვითარებაზე ორიენტირებული პრინციპებით და შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმებით განხორციელებას. *„სკოლას გაეზრდება საბაზისო დაფინანსება. იმისათვის, რომ ისინი თანაბარ პირობებში ჩავაყენოთ, ამავდროულად, ორიენტირებული ვიყოთ ინდივიდუალური სკოლის საჭიროებაზე დაფუძნებულ განვითარებაზე, საჭიროა დამატებითი წახალისების ეფექტური და მხარდამჭერი მექანიზმი შემუშავდეს.*

*შესაბამისად, სკოლის დაფინანსება უნდა შედგებოდეს შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან:*

- *საბაზო ვაუჩერული დაფინანსება;*
- *სკოლის განვითარების ფონდი.“*

სკოლის განვითარებისთვის, კერძოდ იმისათვის, რომ სკოლებმა თვითშეფასებაზე დაფუძნებით დაადგინონ საჭიროებები, შემუშავდება სპეციალიზებული პროგრამები. ხოლო სამინისტრო, ექსპერტთა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, ასეთ ინიციატივებს პროგრამულად დააფინანსებს.

რაც შეეხება პედაგოგების ხელფასების ზრდას, მიხეილ ბატიაშვილმა თქვა, რომ ყველა პედაგოგს, ყოველწლიურად, გაეზრდება საბაზისო ხელფასი, ხოლო წარმატებული მასწავლებლები, დამატებით, სკოლის განვითარების ფონდიდან მიიღებენ ანაზღაურებას. 2019 წლის მაისში საზოგადოებას წარუდგენენ კონკრეტულ გეგმას, როგორ მოხდება პედაგოგების ხელფასების ზრდა.

*„ხელფასების ზრდა 2019 წლის სექტემბრიდან დაიწყება და ტენდენცია მომდევნო წლებშიც ისე შენარჩუნდება, რომ 2021-2022 წლისთვის პედაგოგის საშუალო ხელფასი 1500-1800 ლარი გახდეს. ხელფასების ზრდა, პედაგოგების გარდა, სკოლის დირექტორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შეეხება.*



*განათლების სისტემის კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, გაზრდილი დაფინანსების პირობებში, სამინისტრო მიიჩნევს, რომ მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:*

- *მასწავლებლის საბაზო ხელფასი, რომელიც შედგება მასწავლებლის განათლების, კომპეტენციის, სტაჟის და საგაკვეთილო დატვირთვისგან;*
- *მიღწევებზე დაფუძნებული კომპონენტი – რა საქმიანობას ეწევა მასწავლებელი საკუთარი მოსწავლეების და სკოლის განვითარებისთვის, რა წვლილი შეაქვს მოსწავლის აღზრდასა და პიროვნულ განვითარებაში. აღნიშნული გულისხმობს ყველა იმ ვალდებულებას და სამუშაოს, რომლებშიც მასწავლებლები, მათი სტატუსიდან გამომდინარე, ჩაერთვებიან;*
- *მასწავლებელი, რომელმაც ერთხელ უკვე დაადასტურა კომპეტენცია და ეწევა წარმატებულ საგაკვეთილო პრაქტიკას, საბაზო დაფინანსების მიღმა მიიღებს დამატებით ანაზღაურებას იმ სამუშაოს შესრულებისთვის, რომელიც სკოლის განვითარებაზეა ორიენტირებული და დაფინანსდება სკოლის განვითარების ფონდიდან. მასწავლებლის სახელფასო სქემა დაუკავშირდება სკოლების განვითარების ფონდის სისტემას“* – აღნიშნა მინისტრმა.

მიხეილ ბატიაშვილმა რეფორმის ახალი ტალღის ყველა მიმართულებაზე ისაუბრა და დეპუტატების შეკითხვებსაც უპასუხა. რამდენად დამაჯერებელი იყო ეს პასუხები შეკითხვების ავტორებისთვის და მიიღეს თუ არა დეპუტატებმა ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე, ეს სხვა საკითხია.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

პროფესია პედაგოგი

# მე 23–ელი ვარ!



პედაგოგიური განათლებისდა მიუხედავად, მასწავლებლობაზე არასდროს მიოცნებია. ბავშვები ძალიან მიყვარს, მიმუშავია კიდეც მათთან, მაგრამ ვერასდროს წარმომედგინა თავი მასწავლებლის ამპლუაში. თუმცა... ცხოვრება სიურპრიზებითაა აღსავსე.

ჩემი სკოლაში მოსვლაც მოულოდნელად მოხდა, ცოტა არ იყოს დავიბენი. აბსოლუტურად გამოუცდელი კლასის წინაშე აღმოვჩნდი. თითქოს ბავშვების შემრცხვა, ჩემი თავისაც, ხმა ვერ ამოვიღე. ბავშვების გაოცებული სახეები რომ დავინახე, მივხვდი – ასე შორს ვერ წავიდოდი. უცბად აღვიდგინე გონებაში ჩემი მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი. როგორ შემოვიდოდა სპორტის დარბაზში და ომახიანად დაიძახებდა: „სწორდიიიიიიიიიი!“, „სმენაააააააააა!“ წამიერად მთელი ბავშვობა ამოტივტივდა გონებაში, ფიზკულტურის გაკვეთილები, თვალებში როგორ შევცქეროდით მასწავლებელს, საკმაოდ მკაცრს, თუმცა სამართლიანსა და მოსიყვარულეს. დიახ, ალბათ მიმიხვდით. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი გახლავართ. თავი ხელში ავიყვანე, და დაიწყო და დაიწყო... ისეთი მონდომებით შევუდექი საქმიანობას, მე თვითონვე მიკვირდა.

იცით ყველაზე ლამაზი და საოცარი რა იყო ამ ამბავში? ჩემი ყოფილი მასწავლებლები ჩემი კოლეგები გახდნენ. საუბარია ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლასა და მის ღვაწლმოსილ სპორტის პედაგოგებზე: **თამაზ ყაჭეიშვილსა** და **ტარიელ ბუნტურზე**, რომლებიც უკვე მრავალი ათეული წელია ამ სკოლაში მოღვაწეობენ. არაერთი თაობის წარმატებული სპორტსმენი აღზარდეს და საერთოდაც, საკმაოდ დიდი დამსახურება აქვთ სპორტული საქმიანობის სფეროში. ბატონი თამაზი ერთ-ერთი უხუცესი სპორტის პედაგოგია მთელ საქართველოში და მიუხედავად ამისა, დღემდე მედგრად და შემართებით ატარებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებს.

დღეს რომ უკვე შემდგარი სპორტის პედაგოგი ვარ, სწორედ მათი დამსახურებაა. მათ მომცეს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ძალიან საჭიროა ამ საგნის მასწავლებლისთვის. მათ მასწავლეს თუ როგორი უნდა იყოს წარმატებული სპორტის პედაგოგი, როგორ შეაყვაროს მოსწავლეს სპორტი და აზიაროს სპორტს. მათ მასწავლეს სირთულეების გადალახვა და წინსვლისკენ ბრძოლის ჟინიც მათ გამიღვივეს.

23-ე სკოლამ არაერთი გაჭირვება გადაიტანა, ვიდრე დღემდე მოვიდოდა. იყო აღმართი და დაღმართი, იყო წარუმატებლობა და წარმატება, იყო ყინვა, სიცივე, მაგრამ სპორტისადმი სიყვარულისთვის ხელი არ შეუშლია საერთო სიდუხჭირეს. გაყინულ დარბაზში ერთ ბურთს დაარბენინებდა რამდენიმე კლასი და ყველა მაინც უზომოდ ბედნიერი იყო, რადგან სკოლის კედლები სიყვარულითა და სითბოთი იყო გაჟღენთილი.

დღეს სკოლაში თბილი გარემო სუფევს. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო სპორტული ცხოვრების რიტმში. ჩვენი მოწაფეები მრავალგზის გამარჯვებულნი არიან როგორც საქალაქო, ასევე საქართველოს ჩემპიონატებსა თუ ტურნირებში, სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

მე და ჩემმა კოლეგებმა მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამართულ „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონპროექტის საჯარო განხილვაში, სადაც დავაფიქსირეთ ჩვენი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ასევე ჩვენი სკოლა ჩართულია პროექტში „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების გაძლიერება, განვითარება და სამომავლო გაფართოება“, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნით ხორციელდება.

სკოლის დირექტორი, ქალბატონი **მაგდა ბარამიძე** სულ ახლახანს მოვიდა სკოლაში, თუმცა უკვე ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. პირველ რიგში, კოლეგებს შორის გააღვივა სიყვარული და პატივისცემა, სკოლა აღარ განიცდის სპორტული ინვენტარის დეფიციტს. ჩვენთვის, სპორტის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გაკვეთილის სრულყოფილად ჩატარების მიზნით, მოგვიწესრიგა სკოლის ეზო, აღადგინა სპორტული მოედნები, შეგვიძინა სასწავლო სპორტული რესურსი და დღეს სპორტის გაკვეთილზე შემოსული მოსწავლე დიდი არჩევანის წინაშე დგება: ფეხბურთი თუ კალათბურთი? ფრენბურთი თუ ჩოგბურთი? ლახტი თუ ჰულა-ჰუპი? სირბილი? სასწავლო წლის ბოლოს, ტრადიციულად, ტარდება „მხიარული ესტაფეტა“ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს შორის. ამ ყველაფერს ქალბატონ მაგდას უნდა ვუმადლოდეთ.

თუმცა ეს ყველაფერი არ არის. ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილები – **ნინო მუმლაძე** და **ხატია ხატიაშვილი** მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნავენ. მათი დახმარებითა და ძალისხმევით, მე და ჩემი კოლეგა **სვეტლანა მარტიროსიანი** ჯერ უფროსი მასწავლებლები გავხდით, ხოლო წელს წარმატებით ჩავატარეთ ორ-ორი სამოდელო გაკვეთილი და კვლავაც ვაგრძელებთ კრედიტქულების დაგროვებას, რადგანაც დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ გავხდეთ წამყვანი პედაგოგები.

ჩქეფს 23-ეში სპორტული ცხოვრება და არა მარტო სპორტული. დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდში გვიდგას, დიდი მადლობა თითოეულ მოსწავლეს, რომელიც თავს არ ზოგავს და ბოლომდე იბრძვის გამარჯვებისთვის; დიდი მადლობა მათ სპორტულ ჟინს, ისინი მაძლევენ საბაბს, რომ ვიამაყო. ვიამაყო, რომ მე 23-ე სკოლაში ვასწავლი.

მარინე ჯინჭარაძე

სამოდელო გაკვეთილი

# BƏDII MƏTNIN QAVRANILMASI

**Dmanisi Muniçipolitetinin Yuxarı Oruzman Açıq məktəbinin 4 cü sinfində Gürcü dili ikinci dil müəllimi KAMRAN XIDIROVUN planı**

**Fənn:** Gürcü dili ikinci dil.
**Sinif:** Dördüncü (Şagird sayı 12)
**Vaxt:** 45 dəq (bir dərs)
**Məqsəd:** Bədii mətnin qavranılması. Mətnin analizi vasitəsilə şagirdlər insanların yaxşılıq etməsi və insana xas olanmüsbət keyfiyyətlər barədə müzakirə etmək. Şəkilin vasitəsilə öz emosiyalarını göstərə bilmək və.s.
**Şagirdlərin bilik və bacarıqları:** Kiçik həcmli məlumat mətni ilə tanış olurlar. „Günəbaxan“ hekayəsini yüksək intonasiya və səslə oxuyurlar və ürəyi açıqlığın, yaxşılığın müsbət insani keyfiyyətlərin vacibliyi haqıqnda öz fikirlərini və.s. bölüşürlər.

Effektli dinləmə texnikasını öyrənirlər.Müəllim yüksək səslə, intonasiya ilə dayana-dayana oxuyur, şagirdələr üçün yad olan sözlərin mənasını izah edir.

„Qəhrəmanlıq xəritəsinin“ köməyi ilə baş qəhrəmanın əsas keyfiyyətlərini və xasiyyətini qiymətləndirməyi bacarırlar.

„Yüksək səslə fikir“ bildirmək strategiyasını tamamlaya bilirlər. Şagirdlər eyni zamanda başqa, bədii və məlumat xarakterli mətnlərə aid çalışmaları yerinə yetirmək və sadə sözlərdən cümlələr qurmaq qabiliyyətinə və bacarıqlarına malikdrirlər.

**Milli tədris planının standartları:**
- **Şagird sadə nitqli situasiyalara adekvat olaraq yanaşmağı bacarır.**
- **Oxumaq * mətndə oxuduğu sözlər siyahısındakı işarələrə fikir verməyi bacarır.**
- **Sadə sözlərdən tərtib olunmuş kiçik həcmli mətnləri yüksək səslə oxumağı bacarır.**
- **Personajları tanımaq qabiliyyətinə malikdir.**
- **Mətndə illustrasiyalara uyğun epizodu tapmağı bacarır.**
- **Cümlənin tamamlanması zamanı uyğun oxşarlıqlar və fərqlər intonasiyasını bacarır və sadə strategiyadan istifadə edə bilir.**

| N | Faza | Aktivliklər | Məqsəd | Sinfin idarə forması. | Lazımi resurslar. | Vaxt Bölgüsü |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | Oxuyana qədər (წაკითხვამდე) | 1. Öyrədilmiş biliklərin təkrarlanması.<br>2. Ev tapşırığının yoxlanılması.<br>3. Yeni mətnin və dərs mövzusu ilə tanışlıq və qiymətləndirmə rubrikasının krteriumları ilə tanışlıq. | 1. Əvvəlki biliyin aktivləşdirilməsi.<br>2. Şagirdlərdə motivasiyanın gücləndirilməsi. | Bütün sinif | 1. Tapşırır dəftəri.<br>2. Dərs ləvazimatı.<br>3. Təbaşir. | 7 dəq. |
| 2. | Oxunan zaman (კითხვის დროს) | 1. Yeni mövzu ilə köhnə mövzu arasında əlaqə yaratmaq.<br>2. Mətndən bir neçə sadə cümləni intonasiya ilə oxumaq.<br>3.Mətnə şagirdlər tərəfindən başlıq seçmək.<br>4. Mətni yüksək səslə intonasiya ilə pauzalarla oxumaq.<br>5. Şagirdlər üçün yad olan sozlərin izahı yazılmış plakatdan istifadə etmək.<br>6. Şagirdlər tərəfindən təklif olinmuş adalrın daha uyğununu seçmək.<br>7.Şagirdlərə mövzu ilə bağlı sual cavb etmək.<br>8. Anlaşılmayan cümlə va ya söz birləşmələrini ayrıca qeyd eləmək.<br>9. Mətni individual və cütluk şəkildə pauzalarlar və intonaisyalarla oxumaq. | 1. Şagirdlərdə motivasiyanı gücləndirmək, diqqəti keçiləcək mövzuya yönəltmək və marağı artırmaqdır.<br>2. Şagirdlərdə yeni söz bazsının yaranmasını təmin etmək və lüğətlərinə yeni sözün daxil olmasını təmin etmək.<br>3. Oxumaq qabiliyyətini inkişaf elətdirmək şagirdlər üçün yeni sözlərin düzgün tələffüz və oxunmasını gücləndirmək. | Bütün sinif. Qrup şəklində Individual. | 1. Tapşırır dəftəri.<br>2. Dərs ləvazimatı.<br>3. Təbaşir.<br>4. Mətnə adi şəkillər.<br>5. Sözlər yazılmış kağızlar.<br>6. Rəngli kağızlar. | 18 dəq. |
| 3. | Oxunandan sonra | 1. Mətndəki cümlələrdən secilmiş sözlərdən cümlələr tərtib etmək.<br>2. Mətnlə əlaqəli rənglənəsi şəkillərin rənglənməsi.<br>3. Mətndəki müsbət və mənfi rolları qısa dəyərləndirmək.<br>4. Mətnə uyğun çalışmaları yerinə yetirmək.<br>5. Yeni öyrənilmiş sözlərin hecalara bölünməsinə uyğun tapşırığı yerinə yetirmək.<br>6. Ev tapşırığına uyğun çalışma həll etmək.<br>7. Rubrikaya əsasən qiymətləndirmə.<br>8. Ev tapşırığı vermək. | 1. Mətni daha yaxşı qavramaq üçün və yeni cümlə qurmaq qabiliyyətini inkişaf etdirmək.<br>2. U yğunlaşdırma qabiliyyətini inkişaf elətdirmək.<br>3. Sərbəst fikir söyləmə qabiliyyətini inkişaf etdirmək.<br>4. Sözlərin düzgün yazlış və deyiliş qaydalarını öyrətmək.<br>5. Nümünəyə uyğun çalışmaları həll etmək qabiliyyətini gücləndirmək.<br>6. Motivasiyanı gücləndirmək. | Bütün sinif. Qrup şəklində Individual. | 1. Tapşırır dəftəri.<br>2. Dərs ləvazimatı.<br>3. Təbaşir.<br>4. Mətnə adi şəkillər.<br>5. Sözlər yazılmış kağızlar.<br>6. Rəngli kağızlar. | 20 dəq |

ქამრან ხიდიროვი
*დმანისის მუნიციპალიტეტის სსიპ ზემო ოროზმანის საჯარო სკოლის ქართული როგორც მეორე ენის პედაგოგი*

სამოდელო გაკვეთილი

# როგორ დავგეგმოთ და ჩავატაროთ პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი დაწყებით კლასში

ნინო ვაშალომიძე
*სსიპ ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი*



პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი ეფუძნება ჯონ დიუის პრინციპს – „სწავლა კეთებით და გამოცდილების მიღებით“. ამიტომაც, დღეს სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, წარმატებას მიაღწიონ როგორც პროფესიულ ცხოვრებაში, ასევე აკადემიურ სფეროშიც, ანუ ისწავლონ კეთებისა და გამოცდილების მიღებით. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების გამოყენება შესაძლებელია როგორც მაღალ, ისე დაწყებით კლასებშიც, თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია ადეკვატური მოდელის შერჩევა დასმული პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლისგან მოითხოვს ახალი, არასტანდარტული სტრატეგიების ძიებას. ამ მეთოდით სწავლება, უმეტესწილად, დაკავშირებული უნდა იყოს რეალურ ან რეალურთან მიახლოებულ ვითარებასთან.

დროის ეფექტური მართვა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია. მისი სწორი განაწილება აწესრიგებს ცხოვრებას, გვეხმარება მიზნების მიღწევაში. მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ სურვილი, სკოლაშიც კარგად ისწავლონ და სკოლის გარეთაც არ ჩამორჩნენ საინტერესო აქტივობებს, იქონიონ თავისუფალი დრო თამაშისათვის, მეგობრებისთვის, ოჯახის წევრებისთვის, აუცილებელია დავეხმაროთ, მივცეთ რჩევები როგორ დაგეგმონ დრო სწორად. ვფიქრობ, მასწავლებელმა მოსწავლეებს ხშირად უნდა შესთავაზოს ისეთი ნაწარმოებები, სადაც მოსწავლეები თავად დაინახავენ პრობლემას და მოძებნიან მისი გადაჭრის გზებს.

მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება – როგორ დავგეგმე და ჩავატარე სამოდელო გაკვეთილი ქართულ ენაში, მესამე კლასში, რომელიც ეხებოდა დროის ეფექტურ მართვას.

**გაკვეთილის თემა** – დროის ფასი

**გაკვეთილის მიზანი** – მოსწავლეებმა უნდა შეძლონ:
- სიუჟეტური სურათის გამოყენებით ტექსტის შინაარსის გადმოცემა;
- ტექსტში პრობლემების აღმოჩენა და მათი გამომწვევი მიზეზების დასახელება;
- გამოკვეთილი პრობლემების ცხოვრებასთან დაკავშირება და გადაჭრის გზების ძიება;
- ჯგუფებში პოსტერის „ჩვენი ერთი დღე“ შექმნა და პრეზენტაცია.

**სტანდარტთან შესაბამისობა:**

**ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ასახელებს ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს;
- საკუთარი სიტყვებით, თანამიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს;

**ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად/ლიტერატურულ გამოცდილებას შორის;
- მარტივი გამოთქმებით („მომწონს/არ მომწონს“, „საინტერესოა/უინტერესოა“, „ვეთანხმები/არ ვეთანხმები“, „ერთგულია/მოღალატეა“, „მამაცია/მხდალია“ და ა.შ.) აფასებს ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათ საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრების ახსნას („არ ვეთანხმები იმიტომ, რომ...“, „საინტერესოა იმით, რომ...“ და ა.შ.).

**ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული (მაგ., მსგავსება-განსხვავების) ნიშნით;

**ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- წერს ინსტრუქციებს, გასაგებად წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას.

**საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:**

მოსწავლეებს შეუძლიათ მოვლენების თანმიმდევრობით დალაგება; არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გამოტანა; აქვთ კოგნიტურ სქემებზე მუშაობის გამოცდილება; შეუძლით ჯგუფებში მუშაობა, პოსტერების შექმნა და ნაშრომის პრეზენტაცია.

**სასწავლო მასალა და რესურსები:**

სახელმძღვანელო, სამუშაო ფურცლები, ფლიპჩარტები, მარკერები, ცარცი, დაფა, სამუშაო რვეულები და კალმები; სიუჟეტური სურათები, კოგნიტური სქემა „შევადაროთ მოთხრობები“.

**გაკვეთილის მსვლელობა:**

**აქტივობა 1. (2წთ.) – „დღის მესიჯი“**

მასწავლებელი, კლასში შესვლისას, მიესალმება მოსწავლეებს და, ტრადიციისამებრ, სთხოვს მორიგეს, შეავსოს „დღის მესიჯი“. მასწავლებელი დაფაზე წინასწარ ამზადებს „დღის მესიჯის“ ქარგას, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები/ფრაზები. გაკვეთილის დასაწყისში მორიგე შეავსებს ტექსტში გამოტოვებულ ადგილებს: რა რიცხვია დღეს, რა დღეა, რა გაკვეთილი გვაქვს ახლა, როგორია ჩვენი განწყობა, რამდენი მოსწავლე ესწრება გაკვეთილს.

**აქტივობა 2. (3წთ) – გაკვეთილის მიზნისა და შეფასების პრინციპების გაცნობა**

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემასა და მიზანს; რა მეთოდებს და რესურსებს გამოიყენებს მიზნის მისაღწევად; რა შედეგს ელის გაკვეთილის ბოლოს; აქტივობებს და მოსწავლის შეფასების რუბრიკას, შეფასების ფორმებს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ქცევის წესები.

**აქტივობა 3. (4წთ) – სიუჟეტური ნახატის „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ დახმარებით ტექსტის შინაარსის გადმოცემა**

მასწავლებელი დაფაზე აკრავს მის მიერ წინასწარ შექმნილ სიუჟეტურ სურათს „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“. სთხოვს მოსწავლეებს, სიუჟეტური ნახატის დახმარებით, გაიხსენონ იგავის „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ შინაარსი. მოსწავლეები აღწერენ სურათს და თანმიმდევრობის დაცვით, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. გზადაგზა მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს, რათა დარწმუნდეს, რამდენად კარგად ახსოვთ ტექსტის შინაარსი.

**აქტივობა 4. (4წთ) – სიუჟეტური ნახატის „დროის ფასი“ დახმარებით ტექსტის შინაარსის გადმოცემა**

მასწავლებელი დაფაზე აკრავს სიუჟეტურ ნახატს „დროის ფასი“. სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ტექსტის „დროის ფასი“ შინაარსი, სიუჟეტური ნახატის დახმარებით. მოსწავლეები აღწერენ სურათს და თანმიმდევრობის დაცვით, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

**აქტივობა 5. (10წთ) – იგავებს შორის საერთო პრობლემების აღმოჩენა და გააზრება კოგნიტური სქემის „შევადაროთ იგავები“ დახმარებით**

პრობლემაზე დაფუძნებული გაკვეთილის ჩატარებისას მნიშვნელოვანია პრობლემის წარმოდგენა ხელსაყრელი გზით: ვერბალურად ან/და ვიზუალურად. ამის გათვალისწინებით, მასწავლებელი კედელზე აკრავს (ან დაფაზე წერს) დიდფორმატიან ქაღალდზე წინასწარ მომზადებულ კოგნიტურ სქემას „შევადაროთ იგავები“. მასწავლებელი კლასს ეუბნება, რომ მოუწევთ ტექსტებში მოცემული ფაქტების გახსენება და მათზე დაფიქრება; პრობლემების აღმოჩენა, გადაჭრის გზების ძიება. მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით, მოსწავლეები შეეცდებიან იგავებს შორის საერთო პრობლემების აღმოჩენას. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი დააფიქსირებს გრაფიკულ სქემაში. მანამდე კი, შეახსენებს (მთელ კლასს) სქემის შევსების ინსტრუქციას. სამუშაო სქემაზე მოცემულია ხუთი სახის დავალება:

1. იგავის სათაური;
2. აღწერეთ დრო და გარემო, სადაც იგავ-არაკში გადმოცემული ამბავი ხდება;
3. გაისხენეთ პერსონაჟები, რა თვისებებით გამოირჩევიან ისინი?
4. აღწერე რაში მდგომარეობს პრობლემა? როგორ გადაიჭრა პრობლემა?
5. გაიხსენეთ მოქმედებები;
6. გაიხსენეთ, როგორ გადაიჭრა პრობლემა?

მასწავლებელი, კლასთან ერთობლივი ინტერაქციით, შეავსებს სქემას. დამხმარე კითხვების საშუალებით მოსწავლეები შეძლებენ გაავლონ პარალელი იმ პრობლემებს შორის, რომლებიც ამ ორი იგავის შესწავლისას გამოიკვეთა.

**აქტივობა 6. (5წთ) – დისკუსია**

მასწავლებელი გამართავს დისკუსიას იგავებში არსებული საერთო პრობლემის შესახებ. სვამს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს დასაბუთებას და მტკიცებულებების მოყვანას, უბიძგებს ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნებისკენ:
- რა პრობლემა წარმოშვა ჭრიჭინას ზაფხულში ჭრიჭინმა?
- რა პრობლემა წარმოშვა ჭრიჭინას სტუმრობამ ციყვის ცხოვრებაში?
- რა დასკვნების გამოტანა შეიძლება?

შემაჯამებელი კითხვები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, კიდევ ერთხელ გაამახვილონ ყურადღება იგავებში არსებულ პრობლემებზე, იმსჯელონ მათ გამომწვევ მიზეზებზე და დააკავშირონ ეს პრობლემები ცხოვრებისეულ გამოცდილებას, გამოიტანონ დასკვნები.

**აქტივობა 7. (8წთ) – ჯგუფების მიერ პოსტერის „ჩვენი ერთი დღე“ შექმნა**

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა იგავებში გამოვლენილი პრობლემა – დროის უქმად ხარჯვა, დაუკავშირონ პირად ცხოვრებას, გაიაზრონ, რა გზით შეიძლება მისი გადაჭრა, მასწავლებელი კლასს უსვამს პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ კითხვას: თქვენი აზრით, როგორ უნდა დავგეგმოთ ჩვენი ყოველი დღე ისე, რომ ცხოვრებაში არ შეგვექმნას პრობლემები? ამისათვის, ჯგუფებს სთხოვს შექმნან პოსტერი „ჩვენი ერთი დღე“. მასწავლებელი, სურვილისამებრ, კლასს ჰყოფს ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგებს ფლიფჩარტს და მარკერს, სთხოვს მოსწავლეებს, ჯგუფებში იმუშაონ პოსტერის შესაქმნელად. მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინსტრუქციის თანახმად, მოსწავლეებს ევალებათ, ჩამოაყალიბონ /შეიმუშაონ წესები, შეძლონ დღის რეჟიმის შედგენა. მისცენ თანატოლებს რჩევები, თუ როგორ გამოიყენონ დრო გონივრულად, რათა ცხოვრებაში არ შეექმნათ პრობლემები. ჯგუფიდან ერთი მოსწავლე ფლიფჩარტზე ჩამოწერილ ინფორმაციას უზიარებს მთელ კლასს.

**აქტივობა 8. (6წთ) – პრეზენტაცია**

მუშაობის დასრულების შემდეგ, ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას, დაფაზე გამოიტანენ თავიანთ ნამუშევარს. მასწავლებელი აძლევს მათ უკუკავშირს.

**აქტივობა 9. (3წთ) – გაკვეთილის შეჯამება/შეფასება**

გაკვეთილის შესაჯამებლად მასწავლებელი სვამს შეკითხვებს და ასაუბრებს მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა ისწავლეს დღეს, რა გაუჭირდათ, რამ გაახალისათ? მოსწავლეების მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი შეაფასებს მათ, აძლევს განმავითარებელ შეფასებას კრიტერიუმებზე დაყრდნობით. შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს შეაფასებენ. ბოლოს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეეცადონ, შეაფასონ საკუთარი თავი. მასწავლებელი დაითვლის სამამდე და მოსწავლეებმა უნდა დაიკავონ ადგილები იმ ილუსტრაციასთან, რომელიც მიაჩნიათ, რომ მათი ძლიერი მხარეა. მასწავლებელი წინასწარ ამზადებს შეფასების ნომინაციების სიმბოლოებს და კლასში დაფაზე აკრავს. ვიყენებთ ტრადიციულ ნომინაციებს: ჭკვიანი და საზრიანი პასუხები – ბრძენი ბუ; სხარტი პასუხები – კურდღელი; დინჯი და მოფიქრებული პასუხები – კუ; მხიარული – ჯამბაზი.

მასწავლებელი მოსწავლეებს ანიშნინებს საშინაო დავალებას: მესამე კლასის მოსწავლის რვეული, წერითი სავარჯიშო №1, გვერდი 24.

**შეფასების რუბრიკა:**

| კრიტერიუმები | „გასაუმჯობესებელია“ | „კარგია“ | „საუკეთესოა“ |
|---|---|---|---|
| **სიუჟეტური ნახატის გამოყენებით ტექსტის შინაარსის გადმოცემა** | ვერ გადმოსცემს სიუჟეტური ნახატის გამოყენებით ტექსტის შინაარსს. | მცირე ხარვეზით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს სიუჟეტური ნახატის გამოყენებით. | არგუმენტირებულად გადმოსცემს ტექსტის შინაარსს სიუჟეტური ნახატის გამოყენებით. |
| **ჯგუფური მუშაობა** | არ აქტიურობს ჯგუფში მუშაობისას; არ ამახვილებს ყურადღებას საერთო დავალებაზე; ვერ თანამშრომლობს ჯგუფის სხვა წევრებთან. | ინაწილებს პასუხისმგებლობას და დაკვირვებულად მუშაობს; უსმენს ჯგუფის წევრებს და უზიარებს სხვებს საკუთარ მოსაზრებებს. | თანამშრომლობს ჯგუფის სხვა წევრებთან; ინაწილებს პასუხისმგებლობას და დაკვირვებულად მუშაობს; აქტიურად უსმენს ჯგუფის წევრებს და უზიარებს საკუთარ მოსაზრებებს. |

**დასკვნის სახით,** შემიძლია ვთქვა, რომ დაწყებით კლასებში პრობლემაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილის ჩატარება ნამდვილად არ წარმოადგენს სირთულეს. მოსწავლეებმა, ასაკის შესაბამისად, ყველა აქტივობას კარგად გაართვეს თავი და შეძლეს დასახული მიზნების განხორციელება. აღნიშნულ გაკვეთილზე მოსწავლე დადგა სირთულის წინაშე, რომლის დაძლევა მოითხოვდა შემოქმედებით მიდგომას, აიძულებდა მოსწავლეს, ეფიქრა, ეძია გამოსავალი, ემსჯელა და სწორად გაეაზრებინა მართებული გადაწყვეტილება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. მოსწავლეები ჩართული იყვნენ აქტიურ სწავლაში, მუშაობდნენ რეალური პრობლემების გადაჭრაზე, რის შედეგადაც სწავლა მათთვის გახდა უფრო საინტერესო და სახალისო. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის პროცესში მოსწავლეებმა იმუშავეს კოგნიტურ სქემაზე, რომელიც დაეხმარა მათ პრობლემის ანალიზსა და გადაჭრის გზების ძიებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური) 2018-2024;
2. ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები კითხვისა და წერის სწავლებისათვის დაწყებით საფეხურზე. kargiskola.ge;
3. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი. მეორე ნაწილი.

წკგს — 140

# სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების კეთილშობილური მისია

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე თაობის ძირითად სამოქმედო მიზანს სახალხო სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსება, ქართულ ენაზე იაფფასიანი წიგნების გამოცემა-გავრცელება, სასწავლო დაწესებულებებში ქართულ ენაზე სწავლების დამკვიდრება შეადგენდა. სწორედ ამ ამოცანების რეალიზებისთვის გადაწყდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნება, რასაც მხარს უჭერდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, საზღვარგარეთ მცხოვრები მამულიშვილები, რომელთაც აწუხებდათ მშობლიური ქვეყნის ბედი, მისი აწმყო და მომავალი.

საზოგადოების წესდების პროექტი დიმიტრი ყიფიანმა, ნიკო ცხვედაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და ვახტანგ თულაშვილმა შეიმუშავეს. 1878 წელს წესდება დაამტკიცა მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა, გენერალ-ადიუტანტმა, თავადმა სვიტ ტოპოლკ-მირსკიმ. წესდების სრული ტექსტის გაცნობისას მკითხველი ადვილად დარწმუნდება მის სახელმწიფოებრივ მიზნებსა და ამოცანებში, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ სახალხო სკოლებში სწავლა მშობლიურ ენაზე წარიმართება (წესდებაში ეს მუხლი იაკობ გოგებაშვილის პრინციპული მოთხოვნით ჩაიწერა).

საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა 1879 წლის 15 მაისს გაიმართა. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი (თავმჯდომარეობდა 1879-1882 წწ., 1882-1885 წწ), რაც განპირობებული იყო მისი დიდი გავლენით კავკასიის მმართველ წრეებში, აგრეთვე მისი დაუღალავი ღვაწლით ქართული კულტურის განვითარებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში. საზოგადოების გამგეობის წევრები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი, რაფიელ ერისთავი. დიმიტრი ყიფიანის შემდეგ წკგს-ს, სხვადასხვა დროს, ხელმძღვანელობდნენ: ილია ჭავჭავაძე (შვიდგზის აირჩიეს ამ თანამდებობაზე) და გიორგი ყაზბეგი, 1922-1927 წლებში საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე იყო დავით კარიჭაშვილი.









წესდებით განსაზღვრული მიზნების აღსრულებისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აუცილებლად სჭირდებოდა ფინანსები. საწევრო გადასახადების გარდა, მისი შემომწირველები იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები, მრეწველები, ქველმოქმედები. 1879-1880 წლებში, დამფუძნებელთაგან, საზოგადოებამ 2.500 მანეთი მიიღო, ხოლო ნამდვილ წევრთაგან – 600 მანეთი, თბილისის სათავადაზნაურო ბანკიდან – 11000 მანეთი, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკიდან – 11000 მანეთი (ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს: კირილე ლორთქიფანიძემ, ანტონ ლორთქიფანიძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა). 1913-1914 წლებში დავით სარაჯიშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 80000 მანეთი შესწირა, რომლის ნაწილი სტიპენდიების ფონდს გადაერიცხა; ძმებმა ზუბალაშვილებმა 20 000 მანეთი გაიღეს; ბესარიონ ღოღობერიძემ – 45 000 მანეთი; ალექსანდრე ხახანაშვილმა 46000 მანეთი; ფულადი სახსრები და უძრავი ქონება შესწირა საზოგადოებას ცნობილმა ფოტოგრაფმა ალ. როინიშვილმა... 1905 წელს შედგენილი ანდერძის თანახმად, ილია ჭავჭავაძემ საზოგადებას 554 დესეტინა მიწა დაუტოვა საგურამოში და სახლი თბილისში, იაკობ გოგებაშვილმა 264 კვ.მ. მიწა – ვერაზე, 1912 წლის შემდეგ, საზოგადოების საკუთრება გახდა მისი სამი სახელმძღვანელოს („დედა ენა“, „ბუნების კარი“ და „Русское слово“) გაყიდვებიდან შემოსული მთლიანი თანხა. 1915 წლისთვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიშზე 328 000 მანეთზე მეტი თანხა ირიცხებოდა.

თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ცნობილ ქართველ მოღვაწეთა თანადგომით (ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი, გიორგი იოსელიანი, იონა მეუნარგია, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები), საზოგადოებამ შეძლო და საქართველოში (მის ფარგლებს გარეთაც) 33 სკოლა გახსნა, დააარსა მდიდარი წიგნთსაცავი, სადაც თავმოყრილი იყო ძვირფასი და იშვიათი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, საარქივო მასალა, საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ გაიხსნა 200-მდე სახალხო ბიბლიოთეკა, გამოიცა 250-ზე მეტი დასახელების წიგნი. ყოველივე ამან გადამწყვეტი გავლენა იქონია საქართველოში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და პროგრესული იდეების გავრცელების მიმართულებით, ხელი შეუწყო სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების კეთილშობილურ მისიას, რითაც წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში.

**გურამ თაყნიაშვილი**
*საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი*

ინფორმაცია

# „აბესალომ და ეთერი“ – 100

მარიკა პოპიაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერიდან 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ოფისში, ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის, ვანო ნატროშვილის პატრონაჟით და დედოფლისწყაროს მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის მხარდაჭერით. საღამოს, მწიგნობართა ასოციაციის წევრების გარდა, ესწრებოდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს პირველი და მეორე საჯარო სკოლების და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის უფროსკლასელები და პედაგოგები.

მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ, ოპერის მეგობარმა, იაკობ გოგებაშვილის და ზურაბ ანჯაფარიძის პრემიემის ლაურეატმა, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქემ, ნანა ჭიჭინაძემ ვრცლად ისაუბრა ზაქარია ფალიაშვილის მიერ, 1919 წელს და გიზო ჟორდანიას მიერ, 2016 წელს, დადგმული ოპერის „აბესალომ და ეთერის“ შესახებ. განახლებულ დადგმაში მთავარ პარტიებს ასრულებდნენ: თამარ ივერი, თემურ გუგუშვილი და ლადო ათანელი. სწორედ ამ სპექტაკლით გაიხსნა ოპერის თეატრის რესტავრირებული შენობა.

მწიგნობართა ასოციაციის წევრმა, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ნანული ნატროშვილმა გაიხსენა, რომ მას ოპერის სცენაზე მოსმენილი აქვს აბესალომისა და ეთერის პარტიები ზურაბ ანჯაფარიძის, მედეა ამირანაშვილის, ალეკო ხომერიკისა და მაია თომაძის შესრულებით.

ნაჩვენები იყო 1966 წელს, რეჟისორ ლეო ესაკიას მიერ, გადაღებული ფილმი-ოპერა „აბესალომ და ეთერი“, სადაც აბესალომის პარტიას ზურაბ ანჯაფარიძე ახმოვანებს, აბესალომის როლს კი მსახიობი აჩიკო მეტონიძე ასრულებს, ეთერის – დალი თუშიშვილი, ახმოვანებს „საუკუნის ლეგენდის“ ნომინანტი, საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი.

სპეციალური მოწვევით საღამოს ესწრებოდა ქალბატონი მარინა მაჭავარიანი, დიდი ქართველი საოპერო მომღერლის, ზურაბ ანჯაფარიძის მეუღლე, რომელიც სათუთად უფრთხილდება საყვარელი მეუღლის ხსოვნას და წარმატებით ხელმძღვანელობს მის ფონდს, რომელიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს ქართული საოპერო ხელოვნების აღორძინებისა და წინსვლის საქმეში, მეურვეობს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს.

საღამოს დასასრულს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, დათო ფხოველიშვილმა და რაიონის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა, ილია მარტყოფლიშვილმა მადლობა გადაუხადეს საღამოს ორგანიზატორებს.





ფასი 2 მან.

პროგრამა

აბესალომ და ეთერი





დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორი მამუკა ყავრელიშვილი, პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაციული პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

**ლუიზა ჯაგაშვილი**

რომელიც 47 წლის განმავლობაში, სიცოცხლის ბოლომდე, ერთგულად ემსახურა საყვარელ საქმეს და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებს და ქართული საშუალო სკოლის 1965 წლის კურსდამთავრებულებს.

იუბილე

# ფიზიკოს-ლირიკოსი – ზაურ ჭელიძე 80 წლისაა



რა იცოდა ვალოდია კომაროვმა, რომ საქართველოში გაქრებოდა პუშკინის, ლერმონტოვის, ჩეხოვის, გოგოლისა და სხვათა ქუჩები... მისი სახელი კი საქართველოს ისტორიას შემორჩებოდა. ცნობილი სასწავლებელი – კომაროვი 1965 წელს დაარსდა, წელს 54 წლის ხდება, ცნობილად კი მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა აქციეს. ერთ-ერთ მასწავლებელს, რომელიც კომაროვის სკოლასთან ერთად „დაიბადა", 80 წელი შეუსრულდა. 54 წელია, კომაროვი და ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, მკვლევარი, მასწავლებელი, უბრალოდ ყოველგვარი ტიტულის გარეშე, **ზაურ ჭელიძე – ზაურ მასწი** ერთად მოდიან... ზაურ ჭელიძე – მიმტევებელი და მომთხოვნი, ანგარიშის გამწევი და ობიექტური, ბევრი ფიქრის მატარებელი, ერთდროულად მკაცრი და მოსიყვარულე... 54 წელია, რაც სკოლასა და მასწავლებელს ერთმანეთისთვის არ უღალატიათ... შეუდარებელი მასწავლებელი, ერთგული და საიმედო კოლეგა, საუკეთესო მამა... არაჩვეულებრივი შვილების აღმზრდელი – ნინო, ლალი და დავითი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს ამშვენებენ.

კომაროვის პირველმა დირექტორმა, ჰამლეტ მელაძემ ზაური მასწი დირექტორის მოადგილეობის თანამდებობაზე ერთი პირობით დაითანხმა – არასოდეს დაევალებოდა ბიუროკრატიული წვრილმანები და მხოლოდ დიდაქტიკის შემოქმედებითი მხარით დატკბებოდა. ბატონმა ჰამლეტმა ეს სურვილი შეუსრულა. დიდად განებივრებული არ არის ზაურ მასწი სახელმწიფოსგან ჯილდოებით, თუმცა, მას ეს დიდად არ ანაღვლებს... „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში...". ყველაზე დიდი შემფასებლები მისი მოსწავლეები არიან, დიახ, მოსწავლეები არიან ზაურ მასწავლებლის ყველაზე დიდი ჯილდოცა და ღირსების ორდენიც.

მოვუსმინოთ მათ:

**ამირან მეტრეველი** – *საუკეთესო მასწავლებელი და დიდებული პიროვნება.*

**ზურა ბოცვაძე** – *ორივე ძმა საუკეთესო პროფესიონალი და დიდებული პიროვნებაა!*

**ზურაბ ჭუმბურიძე** – *ზაურ და რამინ ჭელიძეები – ბრწყინვალე პედაგოგები და შეუდარებელი მეგობრები.*

**გივი სართანია** – *მადლობა ბუნებას, თქვენისთანა ხალხს ჯანმრთელობას რომ ჩუქნის, თქვენისთანები რომ არ იბადებოდნენ, დღეს ურემიც არ გვექნებოდა.*

**ვლადიმირ პავერმანი** – *მქონდა ბედნიერება ბატონი ზაურის კოლეგა ვყოფილიყავი კომაროვის სკოლაში. ბრწყინვალე პროფესიონალი და გადასარევი პიროვნებაა! იხარეთ და იდღეგრძელეთ, ბატონო ზაურ!*

**მანანა კოჩიაშვილი** – *ეს წერილი დასტურია თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ცნობილი ფრაზისა: „ფიზიკოსები ყველაზე ინტელექტუალურები არიან".*

**რევაზ სალუქვაძე** – *მესამე გამოშვება ვარ კომაროვის სკოლისა... 1968 წელს დავამთავრე... მეამაყება, რომ ჩემი მასწავლებელი იყო ბატონი ზაურ ჭელიძე, რომელთანაც მერეც მქონდა ურთიერთობა, როცა სკოლაში შევედი როგორც ფიზიკის მასწავლებელი... ბედის ირონიით ახლა მომღერალი მქვია... დიდი მადლობა, ბატონო ზაურ... იცოცხლეთ და იხარეთ მრავალჟამიერ! ჩემი სიმღერებიც თქვენთანაა...*

**ჯენერ არქანია** – *ღრმა პატივისცემა ბატონ ზაურს, უდიდეს ავტორიტეტს ყველა თაობის კომაროველებში!*

**დაჯი ფარცხალაძე** – *მიხარია, რომ ჩვენი გზები გადაიკვეთა და თქვენ ხართ მერის (მერი კავთელიშვილი) ცხოვრებაში. არ შემიძლია იმის გადმოცემა, თუ რამდენად გცემთ პატივს და რამდენად გვიყვარხართ. ძალიან ბევრი ბავშვისთვის მიგიციათ მოტივაცია და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტი ბავშვისთვის იქნებით წარმატების საწინდარი. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. ღმერთმა გვიმრავლოს თქვენნაირი მასწავლებლები.*

**მერი კავთელიშვილმა** (პენსილვანიის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი) კი ზაურ მასწავლებელი თავის მენტორად დაასახელა და სწორედ ზაურ მასწის სიყვარულით გადაწყვიტა, ფიზიკოსი გამხდარიყო.

**გიორგი მელაძე** – *ფიზიკასთან ერთად მასწავლეთ ადამიანობა და, რაც ყველაზე მთავარია, სიყვარული... თქვენ თქვენს აზრებს, სიტყვებსა და ფასეულობებს ისე მასწავლიდით, რომ ეს არ იყო პირდაპირი... ისინი, რაღაც უხილავი, ძლიერი გზით ხვდებოდნენ ჩემს გულში და სამუდამოდ იმკვიდრებდნენ ადგილს... მთელი ამ დროის განმავლობაში, რაც სკოლა დავამთავრე, ბევრჯერ მომიხდა პარალელის გავლება თქვენ მიერ ნათქვამსა და რეალურად არსებულს შორის... ვავლებდი ისეთ პარალელებს, რომლებიც თქვენ მასწავლეთ, მაგრამ არა ფიზიკის სწავლებისას არამედ იმ უხილავი გზით, რომელიც ვერ ამიხსნია, როგორ რჩებოდა ჩემთან. ალბათ, ეს თქვენი პროფესიული საიდუმლოა...*

ბავშვის მოტყუება შეუძლებელია... იგი გაცილებით მეტს გრძნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია. გაალე გული, შედი შიგ, დაამყარე წესრიგი და შენი გემოვნებით განალაგე ყოველი; ხელის შემშლელი არ გეყოლება. პირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა სიყვარული უნდა დაიმსახურო და გასაღებიც შენს ხელში იქნება – ასეთია ზაურ მასწავლებლის დევიზი.

უმოსწავლეოდ ის ენერგეტიკული ველი შემომეცლება, რომელიც ძალას მაძლევს. ყოველთვის მაშინ ვხდები ავად, როდესაც არდადეგები მაქვს. სხვა დროს მე ავად არ ვხდები... განათლებული ხალხი ხელისუფლებისთვის საშიშია, იგი თავისუფალი ადამიანია, გაუნათლებლის მართვა ძალიან ადვილია, იგი ხელისუფლების მონაა, „მონა ბატონს ემსახურება, თავისუფალი კი – ქვეყანას". არჩევანი თქვენზეა. – ეს სიტყვებიც ზაურ მასწავლებელს ეკუთვნის...

და მაინც, მგონია, რომ ცხოვრობს ცუდ დროს, ნაკლებად „ევროპეიზებულ" დროს, ეს ნამდვილად ევროპელი კაცი, ზაურ ჭელიძე.

ზაურ მასწის დარად არავის შეუძლია ანუგეშოს დაფასთან აწურული მოსწავლე, ნუ ღელავ, არა უშავს, დაფამ დაბნევა იცისო... მუდმივად მოწესრიგებული, კარგი მანერებით, რამდენმა თაობამ გაიარა მის თვალწინ. ყველა ახსოვს. ყველაზე სიყვარულით ენთება თვალი...

და მაინც, მე, ფილოლოგი, რატომ ვწერ მასზე? იმიტომ, რომ ეს ის ადამიანია, რომელიც ძალიან მიყვარს... მიყვარს არა იმიტომ, რომ ჩემი უფროსი კოლეგაა და ამის ვალდებულება მაქვს, არა, მე ის მიყვარს, იმიტომ, რომ ის არის ადამიანი, რომელიც ისე საუბრობს ლიტერატურულ შედევრებზე, რომ მისი ანალიზი, მნიშვნელობით, იმ შედევრს უტოლდება; შეუძლია ისეთი ქარიზმით წაიკითხოს ლექსი, რომ თავად ავტორიც გაოცდეს... **კიდევ, იუმორის გრძნობა აქვს**, სხვა აზროვნება, ის, რაც წიგნებით არ ისწავლება... არის თავისუფალი მასწავლებელი – თავისუფალი ყოველგვარი გარეგნული და ზერელე ეფექტებისგან. გამოუსწორებელი რაინდი... საავადმყოფოშიც კი ფეხზე დამხვდა, სანამ იქ ვიყავი, სკამზეც არ ჩამოჯდა და იძულებული გავხდი, მალე დამეტოვებინა პალატა.

ჩვენი სკოლის უცვლელი თამადა...

სუფრაც კი არ არის მისთვის გასართობი ადგილი. სუფრა მისთვის ასპარეზია, სადაც გულწრფელი სიტყვა უნდა თქვას. საოცარი ექსტაზით, ემოციით, აღტყინებით შეუძლია საუბარი რუსთაველსა თუ აღმაშენებელზე, თამარსა და ილიაზე, ივანე ჯავახიშვილსა და ექვთიმე თაყაიშვილზე. მისი სადღეგრძელოები მჭევრმეტყველების ნიმუშია.

თავშეკავებული ურთიერთობებში...

სკოლაში ხმა დაირხა, ზაურ მასწს 80 წელი უსრულდებაო. რა ვქნათ, რა მოვიფიქროთ, რით გავახაროთო? კათედრაზე ყველაზე უხუცესს ვთხოვეთ, მოდით, ლექსები წავუკითხოთო. ჰმ, „ლექსებით აკვირვებთ ზაურს?"

სწორედ ამიტომ აირჩია მეუღლედ ფილოლოგი ქალბატონი ზაირა ყოლბაია. ისიც მახსოვს, ქეიფის დაწყების წინ, რესტორნის დერეფნის ერთ-ერთ კუთხეში, მეუღლის წინ მოსწავლესავით იდგა და ლექსებს იმეორებდა...

ზაურ მასწი – მარადიული თანამედროვე

ზაურ მასწავლებელს ძმაც ჰყავს – რამინი. ისიც ფიზიკოსია და ჩვენს სკოლას ამშვენებს. მათი ბრალია, მე რომ ფიზიკა შემიყვარდა, არადა, ვერაფრით წარმოვიდგენდი, ფილოლოგს ფიზიკა თუ შემიყვარდებოდა... ლამაზია ფიზიკა, იგი ყველგანაა, შეხე, ბიჭო, რა ლამაზი ამოცანაა. თავიდან მიკვირდა, ამ ფორმულებში რა სილამაზე იპოვეს-მეთქი, მაგრამ მათ გაბადრულსა და გაბრწყინებულ სახეებს რომ შევხედე, გავიფიქრე, ალბათ, ფორმულაც კარგი ლექსივითაა-მეთქი. ლამაზია ფიზიკაც... სწორედ ძმებმა ჭელიძეებმა მასწავლეს, რომ იგი ყველგანაა... ფიზიკა ავტომობილში, ფიზიკა მგზავრობისას, ფიზიკა და მუსიკა, უჩვეულო მოვლენები, ფიზიკა და ტექნიკა, ფიზიკა და ლირიკა... პოეზიის მსგავსად, ფიზიკასაც ახლავს თავისებური სილამაზე. სილამაზის განცდა კი რა სახითაც უნდა მოგვევლინოს, ისევე უკვდავია, როგორც ადამიანთა მოდგმა. „რა სილამაზეაო", შესძახეს თურმე კიურებმა, როცა ატომი დაიშალა...

ორივე ძმას აქვს უაღრესად ცოცხალი, არტისტული და საინტერესო საუბრის მანერა, მათ მიერ დროულად მოხმობილი ლიტერატურული ციტატები ფიზიკის გარშემო კულტურულ ინტერიერს ხატოვნად შემოწერს. როცა ორივე ერთად ჩნდება სკოლის ეზოში, გულგახსნილ ბიჭებს ჰგვანან, აქედან გამომდინარე, მთელი დანარჩენი დედამიწა ახლა მხოლოდ ამ ორის გარშემო ტრიალებს...

მათთან ყოფნისას ასაკობრივი სხვაობა მცირდება...

*„არიან ადამიანები-ქოხები – დაფურცლული წიგნებით.*
*აქ უფრო ოცნებების სჯერათ და ისევ ინტერესით კითხულობენ:*
*„ხომ არ შეჭამა ბატკანმა ყვავილი"?*
*არიან ადამიანები-თავშესაფრები,*
*სადაც შეგიძლია, ჩამოჯდე, დაისვენო...*
*ფინჯან ჩაისთან ისაუბრო გადამფრენი ჩიტების ბედზე ."*

ზაურ მასწ, თქვენ ხართ ადამიანი-თავშესაფარი, სადაც შეიძლება ჩამოჯდე და დაისვენო...

გილოცავთ!

დიდხანს შეგვიფარეთ!

ლია გოგოხია
*ვლადიმირ კომაროვის თბილისის*
*ფიზიკა-მათემატიკის*
*199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა*
*და ლიტერატურის მასწავლებელი*

ინფორმაცია

# ვხატავთ ფიროსმანს

ტალინის მუზეუმი „მიკელი", 23 მარტიდან, ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენას მასპინძლობს. ექსპოზიცია მოიცავს ეროვნული სააგენტოს მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის მუზეუმში დაცულ სრულ კოლექციასა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის კუთვნილ 3 ფერწერულ ტილოს. გამოფენა 5 თვე გასტანს.

გამოფენის პარალელურად, მუზეუმის საგამოფენო სივრცე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებსაც ეთმობა, სადაც სააგენტოს თანამშრომლები ესტონეთში მცხოვრები ქართულენოვანი სათვისტომოსა და ესტონელი მოქალაქეებისთვის პროგრამას – „ვხატავთ ფიროსმანს" წარმოადგენენ.



გამოფენა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, ესტონეთის ეროვნული მუზეუმისა და ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ერთობლივი ინიციატივითა და ორგანიზებით იმართება.



23 მარტს სააგენტოს იუნესკოსთან და საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის წამყვანი ექსპერტი **თამარ მელივა**, ესტონელი სტუდენტებისა და მსურველი საზოგადოების წინაშე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სალექციო თემით – „საქართველო ცივილიზაციათა გზაგასაყარზე" წარდგა.

ესტონეთში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი ინიციატივითა და ორგანიზებით, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ექსპონირება 2015 წელსაც განხორციელდა. სახელმწიფო უწყებათა ერთობლივი ძალისხმევით, იუნესკოს მიერ მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის ელემენტად აღიარების შემდეგ, ქართული ანბანის უძველესი სამი სახეობის პრეზენტაცია, პირველად, ტალინის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა. ამ მოვლენის შემდეგ, ქართულ ანბანს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილმა მუზეუმმა არაერთხელ უმასპინძლა.

# სასკოლო კონკურსი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ნათია ზედგინიძემ** და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, **ლევან დავითაშვილმა** ნიკო კეცხოველის პრემიის სასკოლო კონკურსის საფინალო ღონისძიება გახსნეს, რომლის გამარჯვებული 50 ფინალისტი მოსწავლე „მომავლის ბანაკის" საგზურით დაჯილდოვდება.

2019 წელს კონკურსის თემაა „მდგრადი განვითარების მიზნები" (SDGs) და მასში, ქვეყნის მასშტაბით, 500-მდე სკოლაა ჩართული. გამარჯვებულებს სახელმწიფო, საერთაშორისო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ჟიური შეარჩევს.

ფინალისტი სკოლები საზოგადოებას იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს წარუდგენენ, რომლებსაც, მთელი წლის განმავლობაში, გლობალური გამოწვევების საპასუხოდ ახორციელებდნენ.

სასკოლო გარემოსდაცვით კონკურსი – ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია – 2015 წლიდან ტარდება, CENN-ის მიერ, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის ფინანსური მხარდაჭერით.

# ვიდრე გაკვეთილზე შევალთ

დღეს ძალიან ხშირად ვსაუბრობთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები და ინტერესები, წინარე ცოდნა/გამოცდილება და საინტერესოდ, სახალისოდ წარმართოს გაკვეთილის პროცესი. საინტერესოდ წარმართულ პროცესში კი, უპირველესად, მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ყველას ჩართულობა იგულისხმება. ასეთ გაკვეთილებზე მასწავლებლის როლი შედარებით პასიურია, მაგრამ მნიშვნელოვანი. მიზნობრივი აქტივობების დასაგეგმად და მეთოდოლოგიის სწორად შესარჩევად, უპირველესად, უნდა განისაზღვროს გაკვეთილის მიზანი და შეიქმნას ისეთი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიღწეული შედეგების გაზომვაში დაგვეხმარება. ვიდრე შედეგებს გავზომავთ, საინტერესოა, რა გზას გავდივართ გაკვეთილის ჩატარებამდე და საერთოდ, რას ნიშნავს პროცესის სწორად დაგეგმვა.

მიმაჩნია, რომ მასწავლებელს უნდა შეეძლოს:

- **შეისწავლოს** კლასი.
- **გაითვალისწინოს** მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.
- **განსაზღვროს** კლასის ინტერესები.
- **შეისწავლოს** კლასის სიახლეებისადმი მიმღებლობა.
- **შეისწავლოს**, კლასში არის თუ არა ეფექტური თანამშრომლობა.
- **იცოდეს**, ურთიერთობების როგორ ფორმებზე არიან შეთანხმებული ბავშვები.
- **სწორად განსაზღვროს,** რას მოიტანს მრავალფეროვანი გაკვეთილები.
- **შეისწავლოს,** მასწავლებელთა როგორი ტიპის მოსწავლეები არიან კლასში.
- **იცოდეს**, ყველა მოსწავლეს აქვს თუ არა სურვილი ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.
- **განსაზღვროს**, როგორ შეუწყობს ხელს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.
- **განსაზღვროს**, გაკვეთილებზე შექმნილი და გამოყენებული რესურსები იქნება თუ არა მიზნობრივი და ხელმისაწვდომი თითოეული მოსწავლისთვის.
- **შეაფასოს**, რამდენად შთამბეჭდავი იქნება ეს გაკვეთილი მოსწავლეებისთვის.
- **შეაფასოს**, რა ცოდნას მიიღებენ მოსწავლეები, რომელ უნარებს განივითარებენ და როგორი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდებათ.
- **სწორად განსაზღვროს,** რომელ ინსტრუმენტებს გამოიყენებს და როგორ დააკვირდება გაკვეთილის პროცესს.
- **განსაზღვროს**, რომელი მეთოდოლოგიით შეაფასებს მიღწეულ შედეგს.
- **განსაზღვროს**, როგორ გამოიყენებს მომდევნო გაკვეთილისათვის წინა გაკვეთილზე მიღწეულ შედეგს.
- **დაფიქრდეს**, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, რამდენად მნიშვნელოვანია დიალოგი იმავე კლასის სხვა საგნების მასწავლებლებთან, როგორ დაეხმარებოდა ეს პროცესი შედეგების გაუმჯობესებაში.
- **დაფიქრდეს**, თითოეული გაკვეთილით როგორ შეუძლია შეცვალოს მოსწავლეთა მომავალი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩამონათვალი არასრულია და ძირითად საკითხებს მოიცავს, კარგად დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილი თითოეულს ითავსებს. სიტყვა „კარგი“ პირობითი ცნებაა, ვინაიდან, სხვადასხვა მასწავლებლისა და კლასის მიხედვით, არაერთგვაროვანია. „კარგად დაგეგმილი გამოვიდა“ – ეს ითქმება შედეგების ანალიზის საფუძველზე, რადგან პროცესშივე შესაძლებელია ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, ანუ გეგმის მოდიფიცირება.

2018 წლის მარტის შემდეგ ვიკვლევ საკითხს „საბაზო-საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების გამოყენების სიხშირის დადგენა, პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება“. წლების მანძილზე გაკვეთილებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს ნაკლებად იყენებენ, რაც შემაფერხებელი ფაქტორია თითოეული მოსწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ახალი გაკვეთილის დაგეგმვის პროცესის ხელშესაწყობად, ჩემთვის ეფექტურია **მოსწავლეთა დაკვირვების ცხრილი.** გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში შევსებული ცხრილი რეალურ სურათს გვაჩვენებს, თუ რისი მიღწევა შეძლეს მოსწავლეებმა მოცემული კრიტერიუმების მიხედვით, რა ცოდნა/უნარები და დამოკიდებულებები გამოხატეს შესწავლილი საკითხისადმი/თემისადმი, რა გამოიკვეთა გაკვეთილის ძლიერ მხარედ და რა არის თითოეული მოსწავლის გასაუმჯობესებელი მიმართულება. ამ პროცესშივე იკვეთება კლასში მოსწავლეთა უმრავლესობისა და თითოეულის ძლიერი მხარეები, რომელსაც, როგორც რეალურ მოცემულობას, ვიყენებ და მომდევნო გაკვეთილებს უფრო საინტერესოდ და მიზნობრივად ვგეგმავ.

თუ მასწავლებელი ცხრილის მონაცემებს სწორად გააანალიზებს, ეს იქნება პროცესზე დაკვირვებით მიღებული მონაცემი – თითოეული მოსწავლის მიერ მიღწეული რეალური შედეგი, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება ახალი გაკვეთილი. ეს იქნება მცირე კვლევა, რომ დადგინდეს საჭიროებები და დაისახოს გაუმჯობესების გზები.

გაკვეთილის მიზანი, შესაბამისობა ესგ-თან, შერჩეული მეთოდოლოგია, გამოსაყენებელი სტრატეგიები, რესურსები, შეფასების ფორმები, კლასის ორგანიზების ფორმები და ყველა მოსწავლის ჩართულობასა და მოტივაციაზე აქცენტები ხელს უწყობს მასწავლებელს საინტერესო, საჭირო და მნიშვნელოვანი გაკვეთილის დაგეგმვაში.

მოსწავლეთა დაკვირვების ცხრილები იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მთელი წლის განმავლობაში, მიმართულებების მიხედვით, დააკვირდე შედეგების დინამიკას და გამოიტანო დასკვნა – რა მოცემულობით დაიწყე კლასთან თანამშრომლობა და როგორ შედეგებს მიაღწიეს ბავშვებმა.

გთავაზობთ მოსწავლეთა დაკვირვების ცხრილის ჩემეულ ნიმუშს და ერთ-ერთი გაკვეთილის გეგმას.

## მოსწავლეთა დაკვირვების ცხრილი

**მიმართულება – ზეპირმეტყველება**

| № | მოსწავლის სახელი და გვარი | შეუძლია ინფორმაციის მოსმენა და ინტერპრეტაცია | ამყარებს კომუნიკაციას ჯგუფებში, წყვილებში, მთელ კლასთან | მეტყველებისას სწორად იყენებს გრამატიკულ ფორმებს | მსჯელობს, დასაბუთებულად წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებებს | მონაწილეობს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | |
| 2 | | | | | | |
| 3 | | | | | | |

**მიმართულება – კითხვა**

| № | მოსწავლის სახელი და გვარი | კითხულობს სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს და ადეკვატურად იგებს | შეუძლია მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია | ამოიცნობს ტექსტის სტრუქტურულ და ენობრივ თავისებურებებს | შეუძლია კავშირების დადგენა და დასკვნების გამოტანა | იცნობს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | |
| 2 | | | | | | |
| 3 | | | | | | |

**მიმართულება – წერა**

| № | მოსწავლის სახელი და გვარი | დამოუკიდებლად ქმნის სხვადასხვა სახის წერილობით ტექსტს | ამოიცნობს განსაზღვრულ დავალებას და შესრულების სტილს | წერისას მართებულად იცავს/იყენებს გრამატიკულ წესებს, ითვალისწინებს მართლწერის ნორმებს |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |

მოსწავლეთა დაკვირვების ცხრილის კრიტერიუმები ცვლადია და დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად იქმნება. ის გამომდინარეობს ესგ-ის საგნობრივი სტანდარტიდან და გაკვეთილის მიზნიდან, რაც ხელს უწყობს მასწავლებელს შედეგების სწორად გაანალიზებაში. მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, თითოეული მოსწავლის სახელისა და გვარის გასწვრივ, კონკრეტული კრიტერიუმის შესაბამისად, გააკეთოს ჩანიშვნები ან ჩაწეროს მოკლე კომენტარი.

**გთავაზობთ გაკვეთილის გეგმის ერთ-ერთ ნიმუშს:**

| | |
|---|---|
| **მასწავლებელი: მაია მამისეიშვილი** | |
| **საგანი:ქართული ენა და ლიტერატურა** | **კლასი: მე-**11 |
| **გაკვეთილის ტიპი** | **სამოდელო/პრობლემაზე ორიენტირებული** |
| **თემა: „ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს, ერთ წიგნსა და ერთ კალამს შეუძლია შეცვალოს მსოფლიო“ /მალალა იუსუფზაის შესახებ დოკუმენტურ მასალზე დაყრდნობით/** | **დრო:** 45 წთ |
| **მოსწავლეთა პროფილი:** 14 მოსწავლე /სსმ არც ერთი/ | |
| **გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ პრობლემების იდენტიფიცირებას, გააანალიზებენ გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს, დასახავენ გადაჭრის გზებს, რომლის შესაბამისად შექმნიან წერილობით ტექსტებს.** | |
| **ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:**<br>**ქართ. XI. 1.** მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.<br>**ქართ-XI.4.** მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება საჯარო გამოსვლების მომზადების დროს.<br>**ქართ. XI. 12.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის არამხატვრული ტექსტების შეთხზვა.<br>**ქართ. XI. 14.** მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის. | |
| **საჭირო წინარე ცოდნა და უნარი: მოსწავლეებს შეუძლიათ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის დახარისხება, საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, ყურადღების კონცენტრირება, აქვთ მსჯელობის უნარი.** | |
| **შეფასება და თვითშეფასება:** განმავითარებელი შეფასება; თვითშეფასების კითხვარი; დაკვირვების ცხრილი **/მიმართულება – ზეპირმეტყველება/წერა/** | |
| **სასწავლო მასალები და რესურსები: დოკუმენტური ვიდეო-ფილმი; ფლიფჩარტი; მარკერები, კალამი, ფურცლები** | |
| **აქტივობა №1 (სახელწოდება, ორგანიზაციის ფორმა, ხანგრძლივობა)** | **აქტივობა:გონებრივი იერიში**<br>ორგანიზაციის ფორმა: მთელი კლასი<br>ხანგრძლივობა: **2-3**წთ |
| **აქტივობის მიზანი** | მოსწავლეები დავაფიქროთ, სიტყვის „უფლება“ სემანტიკურ მნიშვნელობაზე და რა მიმართულებებით შეიძლება მისი განხილვა. |
| **აქტივობის აღწერა** | წინარე ცოდნის გააქტიურების საფუძველზე, მოსწავლეები შეძლებენ განმარტონ სიტყვა „უფლება“ და დაასახელონ კონკრეტული მიმართულებების მიხედვით /მაგ: განათლების უფლება; სიცოცხლის უფლება; თანასწორობის უფლება; ქალთა უფლება, ბავშვთა უფლება და ა.შ./. |
| **აქტივობა №2 (სახელწოდება, ორგანიზაციის ფორმა, ხანგრძლივობა)** | **აქტივობა: ვიდეოს ჩვენება**<br>ორგანიზაციის ფორმა: მთელი კლასი<br>ხანგრძლივობა: **3-4წთ** |
| **აქტივობის მიზანი** | მალალა იუსაფზაის ცხოვრებისეული ქრონიკების მაგალითზე მოსწავლეებმა შეძლონ პრობლემების იდენტიფიცირება და დაფიქრდნენ მათ გამომწვევ მიზეზებსა და უარყოფით შედეგებზე. |
| **აქტივობის აღწერა** | 3-4-წუთიანი კადრების /https://youtu.be/7fGqgkUfuLw ჩვენება და ფოკუსირებული დაკვირვება პრობლემებზე |
| **აქტივობა №3 (სახელწოდება, ორგანიზაციის ფორმა, ხანგრძლივობა)** | **აქტივობა: სქემის შევსება /პრობლემების ხე/**<br>ორგანიზაციის ფორმა: მთელი კლასი<br>ხანგრძლივობა: **7წთ** |
| **აქტივობის მიზანი** | ფილმის საფუძველზე პრობლემების იდენტიფიცირება და გამომწვევი მიზეზებისა და უარყოფითი შედეგების დადგენა. |
| **აქტივობის აღწერა** | ინტერაქტიული განხილვით მოსწავლეები, დოკუმენტური კადრების საფუძველზე, განსაზღვრავენ პრობლემას, ავსებენ საერთო საკლასო სქემას „პრობლემების ხე“ ადგენენ გამომწვევ მიზეზებს, მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს და ავსებენ სქემის შესაბამის პუნქტებს. |
| **აქტივობა №4 (სახელწოდება, ორგანიზაციის ფორმა, ხანგრძლივობა)** | **აქტივობა: სქემის შევსება**<br>**გამოყენებული მეთოდი: სეგმენტური მეთოდი**<br>ორგანიზაციის ფორმა: ჯგუფური მუშაობა<br>ხანგრძლივობა:**7წთ.** |
| **აქტივობის მიზანი:** | მოსწავლეებმა დასახონ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზები, გაუზიარონ ჯგუფის წევრებს და შეაჯერონ საკუთარი მოსაზრებები საერთო პრეზენტაციისთვის. |
| **აქტივობის აღწერა** | სეგმენტური მეთოდის შესაბამისად შედგენილი სქემის მიხედვით, თითოეულ სეგმენტში, მოსწავლე ინდივიდუალურად წერს ჯგუფისთვის განკუთვნილი პრობლემის მოგვარების გზებს, უზიარებს ჯგუფის წევრებს; ჯგუფი შეჯერებულ საკითხებს წერს სქემის მთავარ სეგმენტში. |
| **აქტივობა №5 (სახელწოდება, ორგანიზაციის ფორმა, ხანგრძლივობა)** | **აქტივობა: ინფორმაციის გაზიარება**<br>ორგანიზაციის ფორმა: საერთო/საკლასო<br>ხანგრძლივობა:**10წთ.** |
| **აქტივობის მიზანი** | მოსწავლეებმა შეძლონ ჯგუფის ნამუშევრების პრეზენტაცია კლასის წინაშე. |
| **აქტივობის აღწერა** | თითოეული ჯგუფი თვალსაჩინოდ გააკრავს შევსებულ სქემას და გააცნობს მთელ კლასს; პრეზენტაციების დასრულებისთანავე, მასწავლებელი და მოსწავლეები აჯამებენ ძირითად საკითხებს. |
| **აქტივობა №6 (სახელწოდება, ორგანიზაციის ფორმა, ხანგრძლივობა)** | **აქტივობა: წერილების შექმნა**<br>**/წერის მეთოდი „RAFT“/**<br>ინდივიდუალური მუშაობა<br>დრო:**10წთ.** |

## გამოცდილება

| | |
|---|---|
| **აქტივობის მიზანი** | მოსწავლეებმა, სხვადასხვა როლიდან და პოზიციიდან, შესწავლილი საკითხების საფუძველზე, შეძლონ გარკვეული დასკვნების გამოტანა და საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება. |
| **აქტივობის აღწერა** | ჯგუფში მასწავლებელი, შემთხვევითობის პრინციპით, ანაწილებს როლებს: „მე – კალამი; მე – მასწავლებელი; მე – წიგნი“; და სთხოვს მოსწავლეებს, აღნიშნული პოზიციიდან შექმნან წერილობითი ტექსტი შემდეგ საკითხზე – „ჩვენ მშვიდობის ელჩები – გზავნილი მსოფლიოს“. სურვილისამებრ, რამდენიმე მოსწავლე კითხულობს თავის ნაშრომს. |
| **აქტივობა №6 (სახელწოდება, ორგანიზაციის ფორმა, ხანგრძლივობა)** | **აქტივობა: გაკვეთილის შეფასება**<br>მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური<br>ხანგრძლივობა: **3წთ.** |

| | |
|---|---|
| **აქტივობის მიზანი** | მოსწავლეებმა შეაფასონ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები და თავიანთი მონაწილეობა, დაასახელონ, ერთი მხრივ, ყველაზე საინტერესო და მეორე მხრივ, ყველაზე რთული აქტივობა/ები. |
| **აქტივობის აღწერა** | მოსწავლეები ავსებენ სპეციალურ კითხვარს, რომლის მეშვეობით, მომდევნო გაკვეთილისთვის, მასწავლებელი დაადგენს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოსაყენებელ სტრატეგიებს. |
| **შეფასება:** თითოეული აქტივობის ბოლოს მასწავლებელი განმავითარებელი კომენტარით აფასებს რამდენიმე მოსწავლის ჩართულობას და ფოკუსირებული დაკვირვებისთვის იყენებს დაკვირვების ცხრილს, ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებით.<br>**საშინაო დავალება: 1წთ.** | |

მაია მამისეიშვილი

*სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

## სპორტი

# მოკრივეთა ისტორიული შედეგები

ვლადიკავკაზში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი 22-წლამდელ მოკრივეთა შორის, სადაც საქართველოს ნაკრებმა 4 ბრინჯაო მოიპოვა. მათ შორის ერთი გოგონების მონაგარია – პირველად ქართული კრივის ისტორიაში, ქალთა შორის მედალოსანი კრივშიც გვყავს – **ანა ხუნჯუა** (54). ბიჭებში მესამე პრიზიორები **ნოდარ დარბაიძე** (52), **არტიუშ გომციანი** (56) და **ნიკოლოზ ბეგაძე** (91) გახდნენ.

ამასთან, ვლადიკავკაზში გამართულ კრივის ევროპული ფედერაციის კონგრესზე, გადაწყდა, რომ მოსწავლეთა შორის ევროპის წლევანდელ ჩემპიონატს, აგვისტოში, თბილისი უმასპინძლებს. ჩვენი კონკურენტები რუსეთისა და ბოსნია ჰერცეგოვინას ფედერაციები იყვნენ, თუმცა მათ კანდიდატურები მოხსნეს ჩვენ სასარგებლოდ. ქართული კრივის ისტორიაში ამგვარი შეჯიბრების მასპინძლობაც უპრეცედენტო ამბავია.




# ჭაბუკი ძალოსნები შინ და გარეთ

ჭაბუკმა ძალოსნებმა წარმატებით იასპარეზეს ლას ვეგასში ჩატარებულ თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატში. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში უკვე ვწერდით, რომ იქ სულ ორი ქართველი გამოდიოდა, რადგან მესამეს ამერიკულმა მხარემ რატომლაც ვიზა არ მისცა. ვწერდით იმასაც, რომ ჩვენმა პირველმა მონაწილემ – **გურამ გიორბელიძემ** (67) ორი ვერცხლის მედალი (აკვრასა და ორჭიდში) მოიპოვა, აგრეთვე ევროპის ორი და საქართველოს 1 რეკორდი დაამყარა.

კიდევ უფრო წარმატებით გამოვიდა ჩვენი მეორე მონაწილე – **ლაშა თაქთაქიშვილი** (102), ვინც 3 ვერცხლი მოიპოვა აკვრაში, ატაცში, ორჭიდში და საქართველოს 2 რეკორდიც დაამყარა.

ამდენად, ჩვენმა ორკაციანმა ნაკრებმა ლას ვეგასში გამოსვლა 5 მედლით დაასრულა – ყველა ვერცხლისაა.

ეს დუეტი ამერიკიდან დაბრუნებისთანავე ჩაება საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატში, რომელსაც 22-24 მარტს ბათუმმა, უფროსებში ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძელმა ქალაქმა, უმასპინძლა (კონტინენტის პირველობა იქ სულ მალე – 6-13 აპრილს გაიმართება). საქართველოს 17-წლამდელთა ჩემპიონატში ქვეყნის 14 რაიონის 120 მოზარდი მონაწილეობდა, თანაც – არა მარტო ბიჭები, გოგონებიც გამოდიოდნენ.

ამ სამდღიანი შეჯიბრების პირველი გამარჯვებული, 49 კილოგრამში, მასპინძელი აჭარის ნაკრების წევრი **ზურაბ მსხალაძე** გახდა, დანარჩენ წონებში ჩემპიონები არიან: **იმედა შავაძე** (55, აჭარა), **გიორგი ხარაზიშვილი** (61, ხაშური, ოლიმპიური რეზერვების ცენტრი), **გურამ გიორბელიძე** (67, ქუთაისი), **საბა ასანიძე** (73, თბილისი), **გურამ ვეკუა** (81, ზუგდიდი, ორც), **ლუკა ქაშიბაძე** (89, წყალტუბო, ორც), **გიორგი კირვალიძე** (96, საჩხერე), **ვანო ქაზუმაშვილი** (102, დუშეთი) და **მიხეილ ადამია** (+102, თბილისი-აფხაზეთი).

ამასთან, 67 კილოგრამში წარმატებით გამოვიდა 15 წლის




ქუთაისელი **თორნიკე ლომთაძე** – 17-წლამდელებში უმედლოდ კი დარჩა, მაგრამ 15-წლიანთა ჩათვლაში საქართველოს სამი რეკორდი დაამყარა – აკვრაშიც, ატაცშიც და ორჭიდშიც, სადაც მისივე ძველ მაჩვენებელს 2 კილოგრამით გადააჭარბა. ასევე შევნიშნავთ, რომ 73 კილოგრამში გამარჯვებული **საბა ასანიძე** ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **გიორგი ასანიძის** შვილია.

როგორც გითხარით, ბათუმში გოგონებიც სწევდნენ შტანგას და საკმაოდ კარგადაც შეასრულეს ეს საქმე. თუმცა, მათი რაოდენობა ბევრად ჩამორჩება ბიჭებისას, რაც ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, გასაგებია – შტანგების აწევა არ მიიჩნევა ქალების საქმედ.

გოგონებიდან მშვენივრად იასპარეზა ზუგდიდელმა **ნათია გადელიამ**, რომელმაც 15 და 17-წლამდელთა შორის საქართველოს რეკორდები დაამყარა ორივე დისციპლინაში და პლუს – ორჭიდშიც, სადაც ძველი მიღწევა 17 კილოგრამით გააუმჯობესა. ჩინებულად გამოვიდა ხონელი **მარიამ მურღვლიანიც**, რომელიც ჯერ მხოლოდ 12 წლისაა, თუმცა 15 და 17-წლამდელთა 7-7 რეკორდი მოხსნა და ორჭიდშიც 17 ქულით გადააჭარბა ძველ მიჯნას. ხონი, თანდათან, სულ უფრო აქტიურად ებმება ძალოსნობაში და სავსებით ლოგიკურია, რომ სულ მალე იქ ძალოსნობის ახალი დარბაზი გაიხსნება.

საქართველოს ჩემპიონატში, გუნდურ ჩათვლაში, გაიმარჯვა თბილისმა 233 ქულით, მეორეზე ზუგდიდი გავიდა 213-ით, მას კი ერთი ქულით ჩამორჩა ქუთაისი.

# სიახლე სპორტის პედაგოგებისთვის

15-17 მარტს, თბილისში, საქართველოს მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, სპორტის მასწავლებლებისთვის გაიმართა ტრენინგი, რომელიც მიმართული იყო სკოლებში სპორტის გაკვეთილების რეორგანიზაციისკენ. მონაწილეობდა 60-მდე უკვე გადამზადებული კოორდინატორი, რომლებმაც ადგილებზე უნდა გაუწიონ კოორდინირება სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის ცხოვრებაში დანერგვას.

შეგახსენებთ, რომ სამინისტრო უკვე ახორციელებს პროექტს „სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების გაძლიერების“ შესახებ. აღნიშნული პროექტის მიზანია: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა; მასწავლებლების დახმარება სასწავლო პროცესის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის მიხედვით დაგეგმვასა და წარმართვაში; ფორმალური და არაფორმალური სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების გზით მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. თავდაპირველად ათვლის წერტილად აღებული იყო თბილისი, მაგრამ პირველი ეტაპის გავლის შემდეგ რეგიონებშიც გავიდნენ. ოღონდ ამას უკვე სათანადო



კონტინგენტიც სჭირდებოდა, რადგან მარტო სამინისტრო მთელ ქვეყანას ვერ გაწვდებოდა. ამ მიზნით, სპორტის სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, დაიწყო მსურველთა გადამზადება კოორდინატორებად, რომლებიც ადგილებზე გადასცემდნენ სამინისტროსგან მიღებულ მეთოდიკას და სიახლეებს სპორტის მასწავლებლებს.

ზემოაღნიშნული პროექტი რამდენიმე ეტაპად იყოფოდა. მაგალითად, სასკოლო სპორტული კლუბების ჩამოყალიბება, საგაკვეთილო თუ არასაგაკვეთილო სპორტული აქტივობები, ექსკურსია-ლაშქრობები, ოლიმპიზმი და სხვ. ეს ეტაპები უკვე დამთავრდა და ახლა დღის წესრიგში ახალი, ცოტა უფრო გაზრდილი მოთხოვნები დადგა, მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება ქვეყანაში არსებული სკოლების მაქსიმალურად მოცვაა, ამ საქმეში კი კოორდინატორთა როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

შესავალში ნახსენები ტრენინგიც სწორედ ამ კოორდინატორებისთვის იყო განკუთვნილი. მას ესპანელი ექსპერტიც უნდა დასწრებოდა, თუმცა მისი ჩამოყვანა ვერ მოხერხდა. მასში ქვეყნის 11-ვე რეგიონის წარმომადგენლობა მონაწილეობდა, სულ პროექტში 48 მუნიციპალიტეტის 400-მდე სკოლაა ჩართული. შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტში შესული ცვლილებები; სასწავლო პროცესის დაგეგმვა დაწყებით და საბაზო საფეხურზე; სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენა; სასწავლო პროგრამების შემუშავება სპორტის სახეობების მიხედვით; საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა; საგანმანათლებლო პროექტები და შიდა სასკოლო ფესტივალები; ექსკურსია-ლაშქრობები, ოლიმპიზმი და სხვ. ერთი სიტყვით, შეაჯამეს ყველაფერი, აქამდე რაც გაუკეთებიათ ამ პროექტის ფარგლებში, იმსჯელეს გამოსასწორებელ ხარვეზებზე და დასახეს ახალი სამუშაო გეგმები.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

## გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ


5 ლარი


12 ლარი



ფასდაკლება
~~10 ლარი~~
7 ლარი
~~9 ლარი~~
6 ლარი

## „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ


15 ლარი

**ეროვნული გამოცდების სიმულაცია**
გიორგი მეჭურჭლიშვილი,
არჩილ თაბუკაშვილი,
კონსტანტინე ბარამია


19 ლარი


19 ლარი

**გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)**
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგათობისა და სტატისტიკის საკითხები.

## ტესტები ქართულ ლიტერატურაში
### ეროვნული გამოცდისათვის



წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
**შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:**
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

## ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
### ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.



სერიის ფასი – 32.40ლ

## ასოციაცია „ზეკარი“ წარმოგიდგენთ მასწავლებლის ბიბლიოთეკას

**პროფესიული უნარები** თეორიული მასალა

15 ლარი

**პროფესიული უნარები** ტესტები

15 ლარი

**ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში**

6.50 ლარი

**სასწავლო პროექტები**

11 ლარი

**ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის**

11 ლარი

**ინტერაქტიური მეთოდების კრებული**

6 ლარი

**კათედრის გამგის პორტფოლიო**

6 ლარი

**მასწავლებლის კალენდარი**

5.50 ლარი

**ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის**

14 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
ფასი – 3 ლარი 80 თეთრი